

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



უანა ინაური

მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები და სასამართლო პრაქტიკის
ანალიზი საოჯახო დავებზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია ჭილაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

გორი

2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ უანა ინაური

ანოტაცია

მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობების შესწავლა საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციითა და ბავშვის უფლებათა კოდექსით, რომელიც საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს, ბავშვის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობების ჭრილში.

მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლება-მოვალეობები, ამ ურთიერთობის სუბიექტების ბუნებიდან გამომდინარე აქტუალურია თანამედროვე ეპოქაშიც. ამ სფეროდან გამომდინარე სადავო საკითხებიც, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს განსჯადია, რაც უდავოდ მიუთითებს მის მნიშვნელობაზე.

კანონმდებლობით შეუქმლებელია ამომწურავად დარეგულირდეს ზემოაღნიშნული ურთიერთობები, განსაკუთრებით ყურადსაღებია მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლებამოვალეობების საკითხის შესწავლა სასამართლო გადანწყვეტილების, როგორც კანონმდებლობის შემავსებელი ინსტრუმენტის ანალიზის საფუძველზე.

Zhana Inauri

Parent-child rights and responsibilities and judicial practice on family disputes

Annotation

The study of the rights and responsibilities of parents and children is one of the most important institutions of family law. At the legislative level of Georgia, these issues are regulated by the Civil Code of Georgia, the Convention on the Rights of the Child, Law of Georgia the Code on the rights of the Child. We should mention that the last one is a novelty also in terms of parental rights and responsibilities towards the child.

Personal non-property and property rights and responsibilities between parents and children, due to the specifications of the parties of this relationship, are actual and up-to-date in the modern era as well. The fact that disputes arising in this field are often heard in court undoubtedly indicates the importance of the issue.

The above-mentioned relations cannot be exhaustively regulated by the legislation. Thus it is especially important to study rights and duties of parents and children on the basis of the analysis of the judicial practice as a supplemental tool for legislation.

სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები.....	6
შესავალი.....	7
თავი I. საოჯახო ურთიერთობების ლიტერატურული მიმოხილვა.....	10
1.1. ოჯახის, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება	10
1.2. ოჯახის წევრების პასუხისმგებლობა ბავშვების მიმართ და ბავშვების	15
ვალდებულებები ოჯახის წევრების წინაშე	15
1.3. სახელმწიფოს ვალდებულება ოჯახების წინაშე.....	20
თავი II. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობები	26
2.1. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები	26
2.2. მშობლებისა და შვილების პირადი არაქონებრივი უფლებები.....	30
2.3. მშობლებისა და შვილების ქონებრივი უფლება-მოვალეობები	36
2.4. მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება, შეზღუდვა, ჩამორთმევა და მშობლის	40
უფლებებში აღდგენა	40
2.5. ბავშვის საუკეთესო ინტერესი და მშობლის უფლებები	46
თავი III. მშობლისა და შვილად აყვანილი ბავშვის სამართლებრივი ურთიერთობები.....	50
3.1. შვილად აყვანის შიდასაკანონმდებლო რეგულირება.....	50
3.2. მშობლის, შვილად აყვანილისა და მშვილებლის ძირითად უფლება-მოვალეობათა	56
მიმოხილვა	56
3.3. სუროგატი მშობლის სამართლებრივი მდგომარეობა	60
3.4. შვილად აყვანის გაუქმება/ბათილად ცნობა	67
თავი IV. მშობლებისა და შვილების ურთიერთრჩენის მოვალეობა	70
4.1. ალიმენტის ინსტიტუტის მიმოხილვა	70

4.2. მშობლებისა და შვილების საალიმენტო უფლება-მოვალეობები	75
4.3. მშობლებისა და შვილების ურთიერთობები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით	78
დასკვნა.....	79
გამოყენებული ლიტერატურა	81

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები

იხ.	იხილეთ
შეად.	შეადარეთ
გვ.	გვერდი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
ე.ი.	ესე იგი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
პარ	პარაგრაფი
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

შესავალი

ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხი მეტნაკლებად ყოველთვის იყო განხილვის თემა, თუმცა ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობას. იგი აღიარებულია უფლებების სუბიექტად, რომელსაც ღირსეულად უნდა ეპყრობოდნენ. რამდენადაც ბავშვი ძირითადად ოჯახში იზრდება, ის წარმოადგენს მისთვის ჩვეულ გარემოს.

ფაქტობრივად, ოჯახი წარმოადგენს საუკეთესო ინსტიტუტს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მისადაგებული ინდივიდების აღზრდისთვის. ოჯახში კი ბავშვის აღზრდისთვის, მასზე ზრუნვის, მისი უფლებების რეალიზებისთვის უმნიშვნელოვანესი და ძირითადი როლი მშობელს ეკისრება, რომელიც წარმოადგენს უდიდესი ღირებულების მქონე ინსტიტუტს.

კვლევის აქტუალურობა. იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და ბავშვზე ზემოქმედების უნარით გაუთანაბრდებოდა მშობელს, სწორედ მას უნდა ჰქონდეს უპირველესად გააზრებული თავისი როლი, უფლებები და მოვალეობები. მშობელსა და შვილს შორის ამგვარი ურთიერთობისა და დამოკიდებულებიდან გამომდინარე აუცილებელია მშობელთა მხრიდან გარკვეული საზღვრების დაცვა, რათა არ მოხდეს კანონმდებლობით

განსაზღვრული ბავშვის უფლებების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ ეს რისკები უმთავრესად მშობელთა მხრიდან მომდინარეობს, რამდენადაც მათ უდიდესი შესაძლებლობა აქვთ ბავშვის ცხოვრების მართვისა, რაც მოითხოვს სწორად იქნეს აღქმული ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და მშობლის უფლება-მოვალეობებს შორის მიმართება, თუმცა ყოველივე ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მხოლოდ მშობლები არიან უფლება-მოვალეობების მატარებელი სუბიექტები - მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები ორმხრივ ხასიათს ატარებს, შესაბამისად, შვილებსაც გააჩნიათ მშობლების მიმართ გარკვეული უფლებები და მოვალეობები და მათი ურთიერთობის მრავალკუთხოვანებიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე კანონმდებელს შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ზოგადად დაარეგულიროს ეს ურთიერთობები. აქ კი, დიდ როლს ასრულებს სასამართლო პრაქტიკა, როგორც კონკრეტული სადავო-სამართლებრივი სიტუაციის მონესრიგების ინსტიტუტი. იგი უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილება და დაარეგულიროს შესაბამისი სადავო საკითხები და მისი გადანყვეტილებებიც ავსებს ამ კუთხით არსებულ გარკვეულ სიცარიელეს.

ამდენად, მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები თანამედროვე ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ბოლო დროს განსაკუთრებულად გამოირჩევა ბავშვთა დაცვის საკითხებიდან, როგორც საზოგადოების, ისე თვით ოჯახის წევრებისა და მშობლების მხრიდან მომდინარე ყველა სახის ძალადობა. რა დროსაც მშობლის მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მოძალადე მშობლის შემთხვევაში, ან/და როდესაც მშობელი ჯეროვნად არ/ვერ ასრულებს მოვალეობას ბავშვის მიმართ, უკვე თავად სახელმწიფოს ეკისრება მოქმედების - ჩარევის ვალდებულება. სახელმწიფო იყენებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას და მოქმედებს თავისი ორგანოების მეშვეობით, რომელთა შორისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა, სწორედ რომ

საერთო სასამართლოების საქმიანობას ენიჭება. ამ კუთხით, სასამართლო პრაქტიკას მართლაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

მაშასადამე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო თემა აქტუალურია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ საოჯახო ურთერთობათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობებს და, მეორეც, საინტერესოა თითოეული მათგანის უფლებების ფარგლების გამოკვლევა სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე და სასამართლო მიდგომები.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობების სიღრმისეული შესწავლა საქართველოს საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების საფუძველზე. ნაშრომის მიზანია ერთ სივრცეში მოექცეს მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობების თეორიული ასპექტები და საქართველოში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა და იგი ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებულ პირთათვის.

ნაშრომის სიახლედ უნდა ჩაითვალოს დასმული საკითხების ანალიზი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ შვილებისა და მშობლების უფლება-მოვალეობათა შესწავლა უმეტესად თეორიული ხასიათისაა. ამდენად, სასამართლო გადანყვეტილებების ანალიზი განსხვავებულ ელფერს შესძენს სამაგისტრო ნაშრომს, რაც ასევე ბიძგს მისცემს ამ კუთხით ნაშრომების, სტატიებისა შექმნას და კვლევის გაგრძელებას. გარდა ამისა, ნაშრომი განიხილავს საკანონმდებლო სიახლით - საქართველოს კანონით ბავშვის უფლებათა კოდექსით დარეგულირებულ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბოლო დროს შესულ ცვლილებებს მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობების კუთხით.

ნაშრომის შექმნისას გამოვიყენეთ საკანონმდებლო აქტები, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა და სასამართლო გადაწყვეტილებები, საჭიროებისამებრ, უცხოური წყაროებიც შედარებით-სამართლებრივი ანალიზის კუთხით.

თავი I. საოჯახო ურთიერთობების ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. ოჯახის, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება

მანამ, სანამ უშუალოდ მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა განხილვას შევუდგებოდეთ, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ოჯახის, როგორც საზოგადოების პირველადი უჯრედის ინსტიტუტი, რამდენადაც სწორედ ოჯახი წამოადგენს მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა რეალიზების უმთავრეს ადგილს. მას უდავოდ დიდი ხნის ისტორია გააჩნია და დიდ როლს ასრულებს როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში.

ოჯახს, როგორც სტრუქტურულ ერთეულს ისტორიული, სოციალური, და პოლიტიკური განზომილებები აქვს.¹

სოციალურ- პოლიტიკური გაგებით, ოჯახი განიმარტება, როგორც ადამიანის აღწარმოების საზოგადოებრივი მექანიზმი, სისხლით ნათესაობაზე ან ქორწინებაზე დაფუძნებული მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ყოფითი ერთიანობით, ურთიერთდახმარებითა და

¹ ნევენა ვუჩკოვიჩ შაპოვიჩი, იააპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, 182.

მორალური პასუხისმგებლობით. ოჯახის მზარდი როლი ბავშვთა სოციალიზაციაში აქცევს მას საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად და როგორც სოციალიზაციის პირველი აგენტი, ოჯახი უზრუნველყოფს თაობის სოციალურ, კულტურულ და ლინგვისტურ ასპექტებს.²

თავად, ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს „კერას“, სახლს, სახლეულს. საქართველოში „ოჯახი“ მხოლოდ შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა „სახლს“, რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისგან შემდგარ პატარა ერთობას აღნიშნავდა. მის პარალელურად დამკვიდრდა „კომლის“ ცნებაც და სამივე ტერმინი მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავდა ცოლქმრობაზე, ნათესაობასა და ქონების მფლობელობაზე დამყარებულ ურთიერთობებს.³

ისტორიულად არსებობდა ოჯახის მრავალი ფორმა. მისი ფორმების მრავალგვარობა დაკავშირებულია სოციალურ და კულტურულ ნორმებთან, და გეოგრაფიულ ასპექტებთან.⁴

ოჯახის პირველი საფეხური სისხლით მონათესავე ოჯახი იყო. ამ ისტორიულ ფორმაში ცოლქმრული ურთიერთობა გამორიცხავდა მხოლოდ წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივ ურთიერთობას. ოჯახის ინსტიტუტის ისტორიული განვითარების შემდეგ ეტაპად სახელდება ძმებსა და დებს შორის სქესობრივი ურთიერთობის აღკვეთა, რამდენადაც სისხლით მონათესავე ახლობელ პირთა შორის სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა ხელს შეუწყობდა ჯანმრთელი თაობის განვითარებას.⁵

ოჯახის განვითარების ისტორიაში იყო ისეთი ეპოქაც, როდესაც ქორწინება არ არსებობდა და წყვილს არავითარი იურიდიული ვალდებულება არ აკავშირებდა ერთმანეთთან, რასაც მოგვიანებით, საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჯგუფური ქორწინება მოჰყვა და დამყარდა სქესობრივი ურთიერთობის ერთგვარი

² სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, ე. კოდუასა და სხვათა რედაქტორობით, გამომცემელი ლ. ბერაია, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2004.

http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=390 [18.05.2021].

³ შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 11.

⁴ შეად. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, ე. კოდუასა და სხვათა რედაქტორობით, გამომცემელი ლ. ბერაია, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2004.

http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=390 [18.05.2021].

⁵ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004, 38.

ნესი.⁶ ოჯახის ინსტიტუტმა განვითარების არაერთი ეტაპი გაიარა, როგორც მატრიარქალური, ისე პატრიარქალური ტიპის საზოგადოების ფორმირების პარალელურად და ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში. ჯგუფური ცოლქმრობიდან გადასვლა მოხდა წყვილადი ოჯახის ფორმაზე, რომელიც ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის შეუღლებას გულისხმობდა (მატრიარქატის ტიპის საზოგადოების საფეხურზე), ხოლო ოჯახის მომდევნო ფორმა - პატრიარქალური ოჯახი წარმოადგენდა გარდამავალ ფორმას წყვილადი ოჯახიდან მონოგამიური (ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის მყარი კავშირი) ოჯახისკენ.⁷

თუმცა ამით არ დასრულებულა ოჯახის, როგორც ინსტიტუტის განვითარება. იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას და ვითარდება. ოჯახს არსებობის მრავალსაუკუნოვანი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. „XIX საუკუნის დიდი მკვლევარი ლუის მორგანი აღნიშნავდა, რომ „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო; ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც იგი არასდროსაა ერთ ადგილზე გაქვავებული, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარდება უმაღლესი საფეხურისკენ.“⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ერს გავლილი აქვს კაცობრიობისა და ოჯახის განვითარების სრული გზა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სხვადასხვა ფორმით მისი შემდგომი ჩამოყალიბება.⁹

ოჯახი განსაკუთრებული, სოციალურად ორგანიზებული ადამიანთა ერთობაა. მისი შექმნის საფუძველი უმეტესად ქორწინებაა. ამიტომ საწყის ეტაპზე მეუღლეები წარმოადგენენ ოჯახის წევრებს, ხოლო უკვე შემდგომ ბავშვის დაბადება საფუძველი ხდება მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობისა. სწორედ მეუღლეებსა და მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები ქმნიან საოჯახო

⁶ ხოფერია მ., ოჯახის გაყრის წესები ძველი ქართული სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 13.

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mariam_xoferia.pdf [10.07.2021]

⁷ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004.

⁸ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004. 37.

⁹ ჭილაშვილი ლ., ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით, დისერტაცია, თბილისი, 2016, 11.

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/188893/1/Disertacia.pdf> [10.07.2021]

ურთიერთობათა ძირითად ბირთვს.¹⁰ თუმცა ბოლო დროს გავრცელდა ოჯახის განსხვავებული ფორმების, როგორცაა მარტოხელა მშობელი და ერთსქესიანთა ოჯახი. მიუხედავად სახესხვაობისა ოჯახი რჩება ბავშვის ჩვეულ გარემოდ, სადაც, როგორც წესი, იგი ცხოვრობს და სადაც მისი უფლებების რეალიზება უნდა მოხდეს.

ადამიანის განვითარების პროცესში ოჯახის მნიშვნელობა აღიარებულია აგრეთვე საერთაშორისო სამართლით. მაგალითისთვის, კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ აცხადებს, რომ „ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში.“¹¹

რაც შეეხება, სამართლის მეცნიერებას, იგი ოჯახს განიხილავს, როგორც საოჯახო ურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველს და არა როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს.¹²

ტერმინი „ოჯახური ცხოვრება“ გვხვდება არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტში, როგორცაა, საქართველოს კონსტიტუცია¹³, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია¹⁴ და სხვა, ისევე როგორც ფრაზა „ოჯახური გარემო“, რომელსაც ვხვდებით როგორც შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონში¹⁵, ისე ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში და სხვა სამართლებრივ აქტებში. თუმცა თავად „ოჯახის“ უნივერსალურ განმარტებას არ ადგენს არც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და არც საერთაშორისო სამართალი. ამის მიზეზად კი სახელდება ის ფაქტორი, რომ ოჯახი ცვლადი ცნებაა, რომელიც ისტორიულ, სოციოლოგიურ, ეკონომიკურ, მორალურ და

¹⁰ შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017,

¹¹ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1994 წლის 02 ივლისს), პრეამბულა, მე-6 პუნქტი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [10.07.2021]

¹² ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004. 37.

¹³ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით აღიარებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება: „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია“.

¹⁴ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას: „ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა“.

¹⁵ შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა ემსახურება მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას“.

სამართლებრივ ფაქტორებზე და მოკიდებული.¹⁶ გარდა ამისა, დამატებით ფაქტორს წარმოადგენს განსხვავებული ოჯახური სტრუქტურები და განსხვავებული ურთიერთობები.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამართლის დოქტრინაში გაბატონებული აზრის მიხედვით, ოჯახი მისი წევრების იურიდიული კავშირია და წარმოადგენს იმ პირთა წრეს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანის ან ბავშვის აღსაზრდელად მიღების სხვა ფორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებითა და მოვალეობებით.¹⁷

საოჯახო ურთიერთობათა სუბიექტებს წარმოადგენენ მხოლოდ ფიზიკური პირები. მათ უნიკარულ ბუნებას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ამგვარი ურთიერთობის მონაწილე პირი ერთდროულად შესაძლოა იყოს რამდენიმე სახის საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო ურთიერთობები გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, არ გამოირიყვება, რომ ამ ურთიერთობის მონაწილეები მხოლოდ ქორწინებიდან, შვილად აყვანისა და სხვა მსგავსი საფუძველიდან გამომდინარე ურთიერთობებში შეიძლება იმყოფებოდნენ ერთმანეთთან მიმართებაში, არამედ მათ შორისაც შესაძლებელია წარმოიშვას სხვა სახის სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები, მაგალითისთვის: შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ოჯახის წევრ მამა-შვილს შორის სასესხო ურთიერთობა რეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით, დელიქტიდან გამომდინარე და ა.შ.

¹⁶ ნევენა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იაპუ ე. დოეკი, უან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, 184.

¹⁷ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) მეორე გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, 13-14.

<https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e183a1e18390e1839de183afe18390e183aee1839d-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390e1839ae18398-e183a0e1839de1839be18390e1839c.pdf>

[10.07.2021]

1.2. ოჯახის წევრების პასუხისმგებლობა ბავშვების მიმართ და ბავშვების

ვალდებულებები ოჯახის წევრების წინაშე

ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში¹⁸, სადაც მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი¹⁹. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი იძლევა ოჯახის შემდეგ განმარტებას - „ოჯახი არის საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, დისგან, ძმისგან ან/და ბავშვის აღზრდისათვის პასუხისმგებელი პირისგან.“

ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ პირთა დამოკიდებულება. მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისთვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ სამართლებრივ მონესრიგებას.²⁰

კანონმდებლობა მხოლოდ უთითებს ოჯახის ვალდებულებებზე ბავშვის მიმართ, თუმცა პირდაპირ არ განსაზღვრავს თუ რომელი მშობლის ოჯახს ეკისრება აღნიშნული მოვალეობები. მიუხედავად ამისა, ლოგიკურია და უზენაესი სასამართლოც განმარტავს, რომ როგორც მამის, ისე დედის ოჯახი არის ვალდებული იზრუნოს ბავშვზე და შეუქმნან მას აღზრდისა და განვითარებისთვის სათანადო გარემო.²¹

ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია მშობლების, მეურვეებისა და კანონით დადგენილი პასუხისმგებელი პირების გვერდით გამოკვეთს ოჯახის პასუხისმგებლობისა და უფლება-მოვალეობებს, დაეხმარონ ბავშვს თავისი უფლება-

¹⁸ საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.07.1997, 1197-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> [10.07.2021]

¹⁹ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

²⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004, 13.

²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის № ას-857-2019 განჩინება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

მოვალეობების განხორციელებაში ბავშვის უნარების შესაბამისად.²² ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა რომ „ოჯახური ცხოვრება“ არ მოიცავს მხოლოდ მშობლებს, არამედ იგი მოიცავს კავშირებს ახლო ნათესავებს შორის, როგორცაა ბებია-პაპასა და შვილიშვილებს შორის, რამდენადაც ამგვარ ნათესავებს აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ოჯახურ ცხოვრებაში.²³

საოჯახო ურთიერთობის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები, რომლებზე უარის თქმა ან მათი სხვაზე გადაცემა შეუძლებელია, რამდენადაც ისინი ატარებენ პირად ხასიათს. ასე, მაგალითად, მშობლის უფლებას აღზარდოს შვილი აქვს აბსოლუტური ხასიათი და სხვა ყველა პირი, მათ შორის, ოჯახის სხვა წევრიც კი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რაც ხელს შეუშლის ამ უფლებათა განხორციელებას.²⁴ საქართველოს საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აღნიშნავს, რომ არ სურს დააკნინოს ბებია-პაპის როლი ბავშვის აღზრდაში, მაგრამ ეს ვერანაირად ვერ შეცვლის დედასთან შვილების ურთიერთობის აუცილებლობას. მითითებულის საკომპენსაციო ვერ იქნება მამასთან გატარებული დღის მცირედი ნაწილიც.²⁵

ოჯახის სხვა წევრებს მშობლებისგან განსხვავებით, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ სხვა არაქონებრივი უფლებები, გარდა იმისა, რომ დამატებითი მონაწილეობა მიიღონ ბავშვის ჰარმონიულ აღზრდაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ბებია-პაპას უფლებას ანიჭებს ურთიერთობა ჰქონდეთ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში, ხოლო თუ მშობელი ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნება შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობელი ან

²² კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1994 წლის 02 ივლისს), მე-5 მუხლი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [10.07.2021]

²³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Marckx v. Belgium, პარ 45. <https://hudoc.echr.coe.int/rus#%7B%22itemid%22:%5B%22001-57534%22%5D%7D> [20.05.2021]

²⁴ შვად. ნინუა ე. საოჯახო სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(42), 2014, 105. [http://www.library.court.ge/upload/1413190262_372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_372833252%20(1).pdf) [10.07.2021]

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის №ას-211-204-2012 გადაწყვეტილება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ ბებიასა და პაპას, სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან, თუ დადგინდება, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

რაც შეეხება, ოჯახის წევრთა ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, ამგვარი ურთიერთობები პრაქტიკაში ძირითადად საალიმენტო ვალდებულებათა სახით იჩენს თავს. საქართველოს კანონმდებლობა იძლევა შესაძლო ალიმენტვალდებულ პირთა ამომწურავ ჩამონათვალს, კერძოდ, ოჯახის სხვა წევრების ქვეშ იგულისხმებიან: დები, ძმები, ბები, პაპა, შვილიშვილი, მამინაცვალი, დედინაცვალი, გერი, ფაქტობრივი აღმზრდელი.²⁶ ამასთან, ამ პირთა ურთიერთრჩენის მოვალეობები ხასიათდებიან გარკვეული სპეციფიკით და ატარებენ სუბსიდიურ, დამატებით ხასიათს, რაც გამოიხატება იმაში, რომ, ზოგადი წესის მიხედვით, ვიდრე პირს, რომელიც საჭიროებს დახმარებას, შეუძლია მიიღოს სარჩო ოჯახის პირველი რიგის წევრებისგან - მშობლებისგან, მეუღლისგან ან შვილებისგან, არ აქვს უფლება მოითხოვოს ალიმენტი ოჯახის სხვა წევრებისგან, ხოლო ალიმენტვალდებულ პირს კი უნდა გააჩნდეს საკმაო სახსრები.²⁷ ამასთან, აუცილებელია ამ პირობათა კუმულატიურად არსებობა. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული წინაპირობები უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას შესაბამის პირს დააკისროს ალიმენტის გადახდის ვალდებულება.

ოჯახის წევრების საალიმენტო მოვალეობებთან დაკავშირებით თავს იჩენს გარკვეული პრობლემატური საკითხები. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს საკითხი, თუ ვინ იგულისხმება დისა და ძმის ქვეშ, კერძოდ, მხოლოდ ბიოლოგიურ და-ძმას აქვს ერთმანეთის რჩენის მოვალეობა, თუ არაბიოლოგიურ და-ძმასაც ეკისრება ამგვარი ვალდებულება? საკასაციო სასამართლოს შეფასებით, „კანონმდებელი ასეთ შემთხვევაში გამოდის მათ შორის სისხლით ნათესაობის ფაქტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას, ალიმენტის დაკისრების მიზნებისთვის რა სახის სისხლით ნათესაობა უნდა არსებობდეს, კერძოდ, არ შეიცავს რაიმე მითითებას იმის თაობაზე, რომ ალიმენტის მიმღები და ალიმენტვალდებულ პირი სავალდებულოდ უნდა იყვნენ დედით და მამით ერთნი. სასამართლოს

²⁶ იხ. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.07.1997. 1223-1229-ე მუხლები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113>

²⁷ იქვე.

განმარტებით, აღნიშნული მუხლის შინაარსის ამგვარი განმარტება ავიწროებს დაცულ სუბიექტთა წრეს და არ გამომდინარეობს ნორმის დისპოზიციიდან.²⁸ იმავე პოზიციას ავითარებს დოქტრინაც და ამბობს, რომ გერებს, რომელთაც არ ჰყავთ საერთო მშობლები არ ეკისრებათ არანაირი ურთიერთუფლება-მოვალეობები, მათ შორის არც საალიმენტო. ამასთანავე, რამდენადაც მათ შორის საალიმენტო მოვალეობას სისხლით ნათესაობის ფაქტი უდევს საფუძვლად, რჩენის მოვალეობის დაკისრებისას არ დგება საკითხი იმის თაობაზე მიიღო თუ არა სარჩენმა პირმა მონაწილეობა თავისი იმ დებისა და ძმების აღზრდასა და რჩენაში, რომელთაგანაც ალიმენტს ითხოვს.²⁹ თუმცა რჩება კითხვა იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა მშობლებისგან წარმოშობილი ბავშვები, რომლებიც გაიზარდნენ ერთ ოჯახად რატომ არ უთანაბრდებიან უფლებრივად ბიოლოგიურ და-ძმას, მაშინ, როდესაც მათ შორის, შესაძლოა არსებობდეს ანალოგიური ურთიერთობა ან უკეთესიც კი. სავარაუდოა, რომ ურთიერთობისა და რჩენის მოვალეობა მომდინარეობდეს მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის ხასიათიდან, არ ეფუძნებოდეს მხოლოდ სისხლით ნათესაობის ფაქტს და განიხილებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. რჩენის მოვალეობა ეფუძნება ამგვარ პირთა შორის კავშირს. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების განხილვისას აღმოჩნდება რომ არაბიოლოგიური და-ძმა უთანაბრდება ბიოლოგიურ და-ძმას, ხოლო კანონი მემკვიდრეობისას, გარეშე პირს, რომელიც შვილად აიყვანა მშვილბელმა, მიუხედავად იმისა, რომ არაა მათი სისხლით ნათესავი, უთანაბრებს მშვილბელის შვილებს. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც რაც საფუძვლად უდევს მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო ურთიერთობას გერთან, აგრეთვე ფაქტობრივი აღმზრდელისა და აღსაზრდელის მოვალეობების საფუძვლები რომელთაც შესაბამისად, არ გააჩნიათ სისხლით ნათესაობა. სისხლით ნათესაობა კი, თავის მხრივ, პირდაპირ არ გულისხმობს რჩენის მოვალეობის დაკისრების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძმის/დის შვილსა და სხვა სისხლით ნათესავებზეც უნდა გავრცელდეს ამგვარი მოვალეობები, რომელთა წრეც ძალზედ ფართო და გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-49-49-2018. [10.07.2021]

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2000, 216.

ყურადსაღებია დოქტრინის მიდგომა შვილიშვილების საალიმენტო მოვალეობებთან დაკავშირებით. დამატებით უნდა აღინიშნოს შეხედულება, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ბებია და პაპსა სსამართლომ უარი უთხრა თავისი შვილისგან ალიმენტის მიღებაზე იმ მოტივით, რომ ისინი, თავის დროზე, თავს არიდებდნენ შვილის მიმართ მშობლის მოვალეობის შესრულებას, შვილიშვილი არ არის ვალდებული არჩინოს ბებია-პაპა.³⁰ ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ბებია-პაპის რჩენის მოვალეობასთან დაკავშირებით კანონმდებელი არ ადგენს ალიმენტვალდებული შვილიშვილის ასაკს და ამდენად ვალდებულების სუბიექტად მოიაზრებს, როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან შვილიშვილს, რომელსაც გააჩნია საკმაო სახსრები.

მამინაცვალსა და დედინაცვალს, მათ გერის მიმართ საალიმენტო ვალდებულება ეკისრებათ მშობლების შემდეგ იმისგან დამოუკიდებლად ჰყავთ თუ არა მათ მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახის წევრები და ნათესავები, რომელთაც საკმარისი სახსრები გააჩნიათ მათთვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩინად, კერძოდ,³¹ ისინი მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან/და შრომისუნარო გერი, რომელსაც დახმარება სჭირდება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არ ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები, ხოლო მამინაცვალს და დედინაცვალს გააჩნია საკმაო სახსრები. „აღნიშნული პირობების არსებობისას საალიმენტო ვალდებულება მაინც წარმოიშობა, თუნდაც გერის დედასთან ან მამასთან მოხდეს განქორწინება, თუ განქორწინებულ დედას ან მამას არ შეუძლია შვილის რჩენა“.³²

რაც შეეხება პირის ფაქტობრივი აღმზრდელის რჩენის მოვალეობას, ამ კუთხით აღსაზრდელი, ისევე როგორც მამინაცვალი და დედინაცვალი, ფაქტობრივად უთანაბრდება შვილების სამართლებრივ მდგომარეობას, რაც ნიშნავს, რომ იგი ფაქტობრივი აღმზრდელის მეუღლისა და შვილების დონეზეა ვალდებული მისცეს სარჩო აღმზრდელს.

³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, წიგნი V, ლ. ჭანტურია რედაქტორობით, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2000, 217-218.

³¹ შეად. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, მეოთხე გამომუშავებული გამოცემა ცვლილებებითა და დამატებებით, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004, 382.

³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, წიგნი V, ლ. ჭანტურია რედაქტორობით, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2000, 221.

ზოგიერთ შემთხვევაში პირს შესაძლებლობა აქვს მისი რჩენის მოვალეობის დაკისრება მოითხოვოს რამდენიმე სხვადასხვა პირისათვის, რომლებიც ასევე შესაძლოა სხვადასხვა ნათესაური კავშირით იყონ ამ პირთან დაკავშირებულნი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მხედველობაში მიიღებს ალიმენტის გადამხდელ ყველა პირს, მიუხედავად იმისა ყველა ამ პირის მიმართ არის წარდგენილი მოთხოვნა თუ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ.³³

პირის რჩენის მოვალეობა არ წარმოადგენს უპირობოდ სამუდამო ვალდებულებას. არსებობს ვალდებულების შეწყვეტის რამდენიმე შემთხვევა - თუ მშობლების/მშობლის, მეუღლის ან შვილის მატერიალური მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდება, რომ მათ შეეძლება დახმარების განევა; ალიმენტვალდებული პირი თვითონ აღმოჩნდება მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში; ან სარჩენი პირისათვის წარმოიშვება მატერიალური უზრუნველყოფის სხვა შესაძლებლობა, ასეთი შესაძლოა იყოს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა. ამგვარ გარემოებად უნდა დასახელდეს აგრეთვე სარჩენი ანდა ალიმენტვალდებული პირის გარდაცვალება/გარდაცვლილად გამოცხადება, რამდენადაც ამგვარი უფლება-მოვალეობა მკაცრად პირად ხასიათს ატარებს, ხოლო უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში სარჩენ პირს კვლად მიეცემა სარჩო მარჩენალის ქონებიდან.

საბოლოო ჯამში, ოჯახის სხვა წევრთა საალიმენტო მოვალეობების თაობაზე სასამართლო დავები მწირია და, ფაქტობრივად, არ მოიძიება შესაბამის მუხლებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, რამდენადაც თუ ამის შესაძლებლობა გააჩნიათ, ეს პირები ნებაყოფლობით ასრულებენ ვალდებულებებს.

1.3. სახელმწიფოს ვალდებულება ოჯახების წინაშე

საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად ორგანიზაციულ ელემენტს - ოჯახს, აღიარებს და იცავს საზოგადოება და სახელმწიფო. სახელმწიფოს ვალდებულებები ოჯახის წინაშე ორგანულად უკავშირდება ბავშვების ინტერესებს და უფლებებს, ამ კუთხით წინა პლანზე გამოდის მათთან დაკავშირებული საკითხებიც. ბავშვის კეთილდღეობა და დაცვა მიიღწევა, სწორედ, ოჯახის მხარდაჭერითა და გაძლიერებით. საქართველოს

³³ საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.07.1997. 12230-ე მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> [10.07.2021]

კონსტიტუცია სახელმწიფოს ავალდებულებს ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით.

სახელმწიფოს, ოჯახისა და ბავშვის სამშობლო ურთიერთობა ძალზედ დინამიურია და დროთა განმავლობასა და სხვადასხვა გარემოში სისტემატურად იცვლება; მასზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ბავშვის უფლებების თანამედროვე გაგება.³⁴

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ყველა ღონე იხმაროს, რათა დაეხმაროს ოჯახს და განსაკუთრებით მშობლებს, თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება მიიღოს ყველა საჭირო ზომა ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად და შექმნას მისი ჰარმონიული განვითარებისთვის საჭირო ყველა პირობა.³⁵

ბავშვის უფლებათა კოდექსში საგანგებოდაა მითითება იმის შესახებ, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, განსაკუთრებით კი ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი გარემო, უნდა იყოს დაცული და მხარდაჭერილი.³⁶ ეს მოთხოვნა უმთავრესად უნდა განხორციელდეს თვით სახელმწიფოს მხრიდან, ვინაიდან, სწორედ მას გააჩნია ქმედითი ბერკეტები და შესაძლებლობები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ტრადიციული ოჯახის მხარდაჭერა და წახალისება ლეგიტიმური და საექსპარტო კია. თუმცა იქვე განმარტავს, რომ ამ მიზნის მისაღწევად არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ზომები, რომელთა მიზანი ან შედეგი არატრადიციული ოჯახისთვის ზიანის მიყენებაა. სასამართლო განმარტავს, რომ ამგვარი ოჯახის წევრები ტრადიციული ოჯახის წევრებთან თანაბარ

³⁴ იხ. ნევენა ვუჩკოვიჩ შაპოვიჩი, იაპ ე. დოევი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, 182-183.

³⁵ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019, მე-6 მუხლი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

³⁶ იხ. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021] []

პირობებში ექცევიან და უნდა სარგებლობდნენ კონვენციით აღიარებული ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებით.³⁷

საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ ოჯახი მისი ყველა წევრისა და განსაკუთრებით ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო დაცვითა და ხელშეწყობით, რათა შეეძლოს მთლიანად იკისროს ვალდებულებები საზოგადოების თვარგლებში.³⁸ ამ კუთხით საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს და ოჯახების გაძლიერების კუთხით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა მოიაზრებს ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას.³⁹ რაც ასევე სახელმწიფოს ვალდებულებებს უკავშირდება, ვინაიდან უმთავრესად, სწორედ სახელმწიფოს აქვს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის ვალდებულება.

სახელმწიფოებს გააჩნიათ პასუხისმგებლობა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში ორივე მშობლის თანაბარი ჩართულობა და მშობლებსა და ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაუწიონ სათანადო დახმარება მათი მოვალეობების შესრულებისას, გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საბავშვო დაწესებულებების განვითარება.⁴⁰ ამასთან, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია რესურსების თვარგლებში გაუწიოს მშობელს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური

³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Marckx v. Belgium, პარ 40. <https://hudoc.echr.coe.int/rus#%7B%22itemid%22:%5B%22001-57534%22%5D%7D> [20.05.2021]

³⁸ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1994 წლის 02 ივლისს), პრეამბულა, მე-5 პუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [10.07.2021]

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის №ა-4246-შ-126-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

⁴⁰ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1994 წლის 02 ივლისს), მე-18 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [10.07.2021]

დახმარება და განახორციელოს მხარდაჭერის პროგრამები, განსაკუთრებით - საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.⁴¹

ოჯახებისა და ბავშვების წინაშე ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ქმნის ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი პირების მხარდაჭერის პროგრამებს მატერიალური და არამატერიალური დახმარების განცევის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა არ არის ერთჯერადი. მისი შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასების შედეგად. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბავშვისა და მისი ოჯახის გაძლიერება მათი ინდივიდუალური საჭიროებების მდგრადი უზრუნველყოფით, რაც შეიძლება მოიცავდეს მშობლისათვის პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზებას, პოზიტიური მშობლობისა და ბავშვზე ზრუნვის უნარების გაძლიერების კურსის ჩატარებას, ოჯახური თანაცხოვრების, ოჯახური დავისა და განქორწინების დროს კონსულტაციების განცეას და ბავშვის ინტერესებსა და ოჯახის მხარდაჭერის სხვა ღონისძიებებს.⁴²

სახელმწიფოს ოჯახისა და ბავშვის დამცველის როლი აკისრია, თუმცა იგი ამ ვალდებულებას ხშირად ვერ ასრულებს ზოგიერთ შემთხვევაში კი ბავშვისა და მშობლების უფლებებს თავად არღვევს. აღსანიშნავია, საერთაშორისო სამართლის როლი მოცემული სამმხრივი ურთიერთობის (სახელმწიფოს, ოჯახისა და ბავშვის ურთიერთობის) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მონესრიგებისა და მათი უფლება-მოვალეობების განხორციელების მონიტორინგის ჭრილში. ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდები დაცულნი უნდა იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ჩარევისგან და ადგენს, რომ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება მოიცავს პოზიტიურ ვალდებულებებსაც. ამასთან, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის ზღვარი მკაფიოდ ვერ დგინდება, მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები კი იდენტურია: ორივე

⁴¹ იხ. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019, 46-ე მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021] []

⁴² იხ. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019, 28-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იყოს კერძო და საჯარო ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის, სადაც სახელმწიფო სარგებლობს შეფასების გარკვეული ზღვრით.⁴³

სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ურთიერთობა უმთავრესად გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან საოჯახო ურთიერთობათა საკანონმდებლო მოწესრიგებაში რა დროსაც აუცილებელია განსაზღვრული ზომიერებისა და ტაქტის დაცვა. ამიტომ, სახელმწიფო საოჯახო ურთიერთობათა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას მიმართავს მხოლოდ მაშინ, როდესაც საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცება დაკავშირებულია განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესთან. კანონის მოქმედების გავრცობა ამ ფარგლებს მიღმა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში დაუშვებელი ჩარევა იქნებოდა.⁴⁴

სახელმწიფო ასევე იცავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესის დაცვისას დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან არამხოლოდ ნეგატიური ჩარევა, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვნისათვის კანონით მინიჭებული უფლებები, არამედ მას ასევე ეკისრება პოზიტიური ვალდებულება - აქტიურად იმოქმედოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სახელმწიფოს სახელით გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება არასრულწლოვნის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გამოხატავს კპოვებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესშიც.⁴⁵

ბავშვის წინაშე არსებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულების კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან, ბოლო დროს დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული ბავშვის უფლებათა კოდექსის შემუშავებით, რომლითაც დადგინდა სახელმწიფომ თავის თავზე აიღო დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე, იმ ბავშვის განსაკუთრებული დაცვისა და მხარდაჭერის ვალდებულება,

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე HAASE v. GERMANY, პარ. 85, <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-61704> [06.06.2021]

⁴⁴ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004, [10.07.2021]

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის №ას-1162-2020 გადაწყვეტილება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

რომლის ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ კუთხით საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს ასევე 2020 წელს მიღებული, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე დადგინდა სახელმწიფოს ვალდებულება შებლუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სხვა ბავშვებთან თანასწორად რეალიზებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ვალდებულებები, რაც დაკავშირებულია შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიერ უწყვეტი განათლების მიღებასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობასა და ბიოლოგიურ ოჯახში ცხოვრებისთვის აუცილებელი, ასევე დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის მექანიზმების შექმნასთან. კანონით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება უზრუნველყოს შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ოჯახში სხვებთან თანასწორად ცხოვრების უფლება, და ამ კუთხით ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის ვალდებულებები⁴⁶. ბავშვის უფლებების დასაცავად არასრულწლოვანზე მაქსიმალურად მორგებული გარემოს შექმნის მიმართულებით აღსანიშნავია აგრეთვე ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი არ ახორციელებს ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სათანადო დაცვას და მეტიც, თავად არღვევს მის უფლებებს, ამ პრობლემის გარკვეულ დონეზე აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ თავად არასრულწლოვანს მიანიჭა საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა და არასრულწლოვანს შეუძლია პირველ ეტაპზე თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად თავად მიმართოს სასამართლოს. გარდა ამისა, აღსანიშნავია არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდუკასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლის, ადვოკატის, სოციალური მუშაკისა და საჭიროებისამებრ სხვა სპეციალისტის მონაწილეობის საკანონმდებლო დონეზე დადგენა.

არსებობს უფრო მძიმე შემთხვევებიც, როდესაც საუბარია არა ბავშვის უფლებების რეალიზებაზე, არამედ არასრულწლოვნის დაცვაზე ძალადობისგან. სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს

⁴⁶ საქართველოს კანონი შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.07.2020, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1> [11.07.2021]

ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ძალადობის პრევენციის, რეფერირების, გამოძიების, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.⁴⁷ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა დარღვევა, რადგან ინგლისურმა კანონმდებლობამ სათანადოდ ვერ დაიცვა ბავშვი ძალადობისგან და აღნიშნა, რომ ბავშვები და სხვა მონყვლადი პირები განსაკუთრებით საჭიროებენ დაცვას. საქმე შეეხებოდა 9 წლის „ძნელად აღსაზრდელ“ ბავშვს, რომელსაც რამდენჯერმე ჯიხით ძლიერად სცემა მისმა მამინაცვალმა, რასაც სისხლჩაქცევები მოჰყვა. მამინაცვალს მანამდე ბრალად ედებოდა თავდასხმა, მაგრამ სასამართლომ გაამართლა, რადგან იმ პერიოდში ინგლისური სამართლით დაშვებული იყო ე.წ. „გონივრული დასჯა“. ამ და სხვა გადაწყვეტილებების საფუძველზე გაერთიანებული სამეფოს ყველა სკოლაში აიკრძალა ფიზიკური დასჯა.⁴⁸

თავი II. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობები

2.1. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები
მშობლის პასუხისმგებლობა წარმოადგენს უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას, რომელიც მონოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობის შენარჩუნება, მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისთვის საჭირო სახსრებით, კანონიერი წარმომადგენლობით და მისი ქონების განკარგვით, ადმინისტრირებით⁴⁹.

⁴⁷ იხ. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019, 53-ე მუხლის მე-6 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

⁴⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე A v. The UK [10.07.2021]

⁴⁹ მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაცია, (მიღებულია 1984 წლის 28 თებერვალს) პირველი პუნქტი. https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016804de2e4 [10.07.2021]

მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. ბავშვის დაბადების მონუმბაში მითითებული პირები უპირობოდ მოიაზრებიან ბავშვის მშობლებად.

დედისა და მამისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენასთან დაკავშირებით მოქმედებს განსხვავებული მიდგომები - დედასა და შვილს შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობის საკმარისი საფუძველია დედისაგან ბავშვის დაბადება, რაც წარმოადგენს გარკვეულ იურიდიულ ფაქტს და რეგისტრირდება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. ამ მიზნებისთვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტებია: 1. დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა; 2. უფლებამოსილი ორგანოს გადანყვეტილება პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ; 3. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმავე სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და კანონმდებელი უფლებას უტოვებს საქართველოს იუსტიციის მინისტრს ბრძანებით განსაზღვროს ბავშვის დაბადების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.⁵⁰

რაც შეეხება, მამასა და შვილს შორის უფლება-მოვალეობათა წარმოშობას, ამ შემთხვევაში განსხვავებული წესი მოქმედებს არ არის საკმარისი სისხლით ნათესაობა და მასთან ერთად განიხილება ბავშვის დედასა და ამ პირს შორის ქორწინების რეგისტრაციის არსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი აღიარებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის მამობას ან ასეთი ფაქტი დადგენილია სასამართლოს მიერ. კანონმდებელი არ ახდენს ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სეგრეგაციას - ბავშვის მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვს ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილ ბავშვებს.

⁵⁰ საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.12.2011, 21-ე მუხლი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541247?publication=25#part_22 [10.07.2021]

ამავე აზრს ატარებს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ევროპული კონვენცია.⁵¹

უპირველეს ყოვლისა, შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთ მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მამის გარდაცვალების შემთხვევაშიც ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა. ასეთ შემთხვევებში მოქმედებს მამობის პრეზუმფცია, რამდენადაც საფუძველსაა მოკლებული იმის მტკიცების მოთხოვნა, რომ ქორწინებაში მყოფი პირი მართლაც ბავშვის მამაა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ გამორიცხავს მამობის დადგენის შესაძლებლობას შვილის გარდაცვალების შემთხვევაშიც, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ასევე არაა გამორიცხული დადგინდეს დედობაც, თუ აღნიშნულის საჭიროება წარმოიშობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სასამართლო არ არის ვალდებული დაადგინოს მამობა, მას შეუძლია უარი თქვას მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

რაც შეეხება, დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილების წარმოშობის დადგენას, ასეთ შემთხვევაში შვილების წარმოშობის დადგენისთვის მოითხოვება მშობელთა ერთობლივი განცხადება და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მეუღლეთა ერთობლივი განცხადება ან შეუძლებელია მისი წარდგენა მარეგისტრირებელ ორგანოში, ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით, როგორც ბავშვის დედის, ისე მამის, აგრეთვე ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. გარდა ზემოაღნიშნული პირებისა თავად ბავშვს აქვს უფლება სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მოითხოვოს მამობის დადგენა.

მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების - მტკიცებულებების შესაბამისად, ხოლო თუ ამ შედეგების საფუძველზე ვერ დგინდება ბავშვის მამობა, სასამართლო მხედველობაში იღებს სხვა გარემოებებსაც, როგორცაა ბავშვის დედისა და მამობის

⁵¹ ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 15.10.1975, ძალაში შევიდა 31.07.2002), მე-6 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210378?publication=0> [10.07.2021]

დადგენის შესახებ განმცხადებელი/განცხადებაში მითითებული პირის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ მიერ ბავშვის ერთად რჩენისა და აღზრდის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ანდა გარემოებებს, რომლებიც სავსებით დაადასურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას. სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სსკ 1190-ე მუხლთან დაკავშირებით და თქვა, რომ ნორმაში მოცემული სიტყვათა წყობა „მხედველობაში იღებს“ არ უნდა განიმარტოს მისი ვიწრო გაგებით, არამედ იგი გულისხმობს, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია მამობის დადგენისას გაითვალისწინოს ამავე ნორმაში მოცემული მამობის არაყალსახად დამდგენი ფაქტობრივი გარემოებებიც.⁵²

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კანონმდებელი ამომწურავად არ ჩამოთვლის გარემოებებს, რომლებსაც შეიძლება დაეყრდნოს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ღიად ტოვებს გარკვეულ საკითხებს, რაც უმთავრესად დაკავშირებულია კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გარემოებების არსებობასთან დროში.

მამობის დადგენასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მამობის დადგენისთვის არ არის აუცილებელი სსკ 1190-ე მუხლის დისპოზიციით განსაზღვრული ყველა პირობის კუმულატიურად არსებობა, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს სახეზე ერთ-ერთი მათგანი. განსახილველი ნორმის მიხედვით, მამობის დადგენისას აუცილებელია ისეთი გარემოებების არსებობის დადასტურება, რომლებიც უკავშირდება საოჯახო ურთიერთობებს, ოჯახის შექმნის მიზანს ან პოტენციური მამის მიერ მამობის აღიარების ფაქტს. დაადგინა, რომ მამად ცნობისთვის აუცილებელია დადგინდეს ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდა ბავშვის ერთად აღზრდისა და რჩენის ფაქტს.⁵³ სხვა საქმეში კი დაადგინა, რომ თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება. კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებდა, რომ სავარაუდო მამა ბავშვის დაბადების შემდეგ პერიოდულად ჩამოდიოდა რუსეთიდან და ზრუნავდა მათზე, რაც საკასაციო საჩივარში მითითებიდან გამომდინარე დასტურდებოდა მოწმეთა ჩვენებებით. სასამართლომ განმარტა, რომ არ შეიძლება აღზრდაში ან რჩენაში

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 07 მაისის №ას-41-40-2010 გადაწყვეტილება.

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 05 ივნისის №ას-1232-2019 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

იგულისხმებოდეს პერიოდული ზრუნვის გამოჩენა, მით უმეტეს, ამ გარემოების დადგენისთვის არ შეიძლება დაყრდნობა ზოგადი ხასიათის ახსნა-განმარტებებზე. შვილის აღზრდაში მონაწილეობა არა ეპიზოდურ, არამედ სისტემატური ხასიათის კონკრეტულ მოქმედებებს გულისხმობს, რომლებიც ადასტურებს საოჯახო ურთიერთობის არსებობას და არა მეგობრული კეთილგანწყობის ფაქტს. მოცემულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ არც მონმეთა ჩვენებებით და არც საქმეში არსებული სხვა მასალებით არ დგინდებოდა მამობის დადგენისთვის აუცილებელი მოთხოვნები.⁵⁴

უნდა აღინიშნოს, რომ სასარჩელო წესით მამობა დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი დავას იწვევს მხარეთა შორის⁵⁵, სხვა შემთხვევაში, დაუქორწინებელი მშობლებისგან ბავშვის წარმოშობა შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომაც პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, უფლება აქვს ამავე ორგანოში სადავო გახადოს ბავშვის მამის შესახებ არსებული ჩანაწერი, ეს ვადა კი შეადგენს ერთ წელს იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის შესახებ. ამასთან, არ გამოირიცხება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მამაკაცის უფლება სადავოდ გახადოს თავისი მამობა ბავშვის მიმართ.

2.2. მშობლებისა და შვილების პირადი არაქონებრივი უფლებები

მშობლებსა და შვილებს შორის წარმოიშობა ბავშვის დედობასა და მამობაზე დამყარებული მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობები. მშობლების უფლება-მოვალეობები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ხშირად ურთიერთგანპირობებულისაა, რამდენადაც შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ. ასევე ურთიერთგანპირობებულია მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობებიც. საოჯახო კანონმდებლობა მშობლებისა და

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის N ას-902-1149-04 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

⁵⁵ ჭილაშვილი ლ., ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით, დისერტაცია, თბილისი, 2016. 148. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/188893/1/Disertacia.pdf>

შვილების სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრისას ხელმძღვანელობს იმ საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებისა და პრინციპების დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობით, რომლებიც დადგენილია ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით.⁵⁶

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები, ზოგადად, იყოფა პირად - არაქონებრივ და ქონებრივ ურთიერთობებად, რომელთა იურიდიული ბუნების შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან, სწორედ ასეთ ანალიზს ეფუძნება შემდგომ ამ ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და თანამედროვე ცხოვრებისადმი მისადაგება. ამიტომ მნიშვნელოვანია მშობლებისა და შვილების პირადი - არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მაინდივიდუალიზებულ ნიშანთა გამოვლენა მათი წარმოშობის დადგენა და სამართლებრივი ბუნებისა და შინაარსის განსაზღვრა. ფიზიკურ პირთა პირად ზოგიერთ უფლება-მოვალეობას „პირადი - არაქონებრივი“ ეწოდება, რაც ნიშნავს, რომ ისინი განუყოფელია კონკრეტული პიროვნებისგან და არ ატარებენ ქონებრივ ხასიათს. ეს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები პირადი ხასიათისაა და მათი ჩამოყალიბება უკავშირდება არამატერიალურ სიკეთეებს, რომელთა არსებობაც შეუძლებელია კონკრეტულ (ფიზიკურ ან იურიდიულ) პირთან კავშირის გარეშე.⁵⁷

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა არეგულირებს არასრულწლოვანი შვილებისა და მათი მშობლების უმნიშვნელოვანეს პირად უფლებებს და მკაცრად ადგენს პრინციპს, რომ მშობლის უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღვეს ბავშვის ინტერესებს.

უპირველეს ყოვლისა ბავშვს უფლება აქვს იცნობდეს თავის მშობლებს და ცხოვრობდეს მათთან, ოჯახში, სადაც მისი ჰარმონიული აღზრდისა, განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული მშობლის, აგრეთვე ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს

⁵⁶ შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 163.

⁵⁷ შეად. ჯაფარიძე ქ., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, 50,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf [11.07.2021]

ბავშვის ფიზიკურ დასჯას ან მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და სასჯელის გამოყენებას.

მშობლის უფლება და მოვალეობაა ურთიერთობა ჰქონდეს შვილებთან და განსაზღვრონ მესამე პირთა ურთიერთობის უფლება მათთან (იგულისხმება არასრულწლოვანი შვილები). სწორედ, მშობლები არიან მათი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები და, ამდენად, უფლება აქვს განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე დაიცვან მათი უფლებები და ინტერესები მესამე პირებთან და სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მშობლებს ანიჭებს უფლებამოსილებას და იმავდროულად აკისრებს მოვალეობასაც აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე პიროვნებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, ხოლო ბავშვის უფლებათა კოდექსი დამატებით ადგენს, რომ მშობელი (აგრეთვე ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი) ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას, აღზარდოს იგი მშვიდობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებით, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის, ბავშვის ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

საცხოვრებელი ადგილი - ზოგადად წესის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებლად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, თუმცა არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრება უშუალოდ მშობლის უფლების მქონე მშობლის საცხოვრებელი ადგილი. მშობლები სარგებლობენ უფლებით განსაზღვრონ თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს მათმა არასრულწლოვანმა შვილმა.

ისევე როგორც სხვა ყველა საკითხზე, არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილებას მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით იღებენ, მათ შორის, განქორწინებისა და სხვა მიზეზთა გამო ცალ-ცალკე ცხოვრებისას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებითა და სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესებს. კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმუციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადანაცვებისას, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არკვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მხოლოდ საბინაო-საცოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული.⁵⁸

რალა თქმა უნდა, რომ უფრო სრულყოფილად თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელება ასეთ შემთხვევაში შეეძლება იმ მშობელს, რომელთანაც საცხოვრებლად რჩება ბავშვი. თუმცა ორივე მშობელს კვლავ თანაბარი უფლება-მოვალეობები რჩებათ თავიანთი შვილების მიმართ, ხოლო მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს არ აქვს უფლება შეუზღუდოს მეორე მშობელს უფლება-მოვალეობები. საქართველოს საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მშობლების განქორწინების შემდეგ ბავშვთან კონტაქტის უფლება მშობელს, რომელთანაც შვილი არ ცხოვრობს არათუ უნარჩუნდება, არამედ ის ვალდებულიცაა ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან, რომელიც ეფექტური და შეძლებისდაგვარად რეგულარული უნდა იყოს. რა საკვირველია, ამ საკითხების გადანაცვების დროს, პირველ რიგში, ბავშვის ინტერესების გათვალისწინება უნდა მოხდეს, რაც ორ ასპექტს გულისხმობს - ერთი მხრივ, ბავშვის ინტერესებშია, რომ იგი განვითარდეს ჯანსაღ გარემოში და მშობელს არ მიეცეს ისეთი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა, რომელიც ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობასა და განვითარებას; მეორე მხრივ, ცხადია ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ შენარჩუნდეს მისი კავშირი მამასთან, რათა გაძლიერდეს მამის როლი და მისი აქტიური ჩართულობა ბავშვის ცხოვრებაში. შესაბამისად, თუ არ არსებობს საგამონაკლისო გარემოება მეორე მშობელს ბავშვის თავისთან დროებით წაყვანის უფლება არ უნდა შეეზღუდოს.⁵⁹ სასამართლო არ არის შეზღუდული ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე დავის გადანაცვებისას იმსჯელოს ასევე იმ მშობლის ურთიერთობის წესზე შვილებთან, რომელთანაც არ ექნებათ მუდმივის საცხოვრებელი, რათა მშობლების დაშორების

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ს-904-944-2011. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ს-63-59-2017. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

მიუხედავად, ბავშვებს ჰქონდეთ ოჯახური გარემო და შეძლონ ამ მოცემულობაში თანაბარი ურთერთობა ორივე მშობელთან.⁶⁰

საოჯახო ურთიერთობებში აღიარებული ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ისინი შვილების მიმართაც სარგებლობენ თანაბარუფლებიანობით, იმ შემთხვევაშიც, როდესაც განქორწინებულები არიან. განქორწინება, თავისთავად, მხოლოდ მეუღლეებს შორის წყვეტს არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო შვილების მიმართ ორივეს კვლავინდებურად უნარჩუნდებათ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, რაც წაირმოიშვა ბავშვების დაბადებით და გაგრძელდება მათ სრულწლოვანებამდე. თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება - სსკ-ის ზოგადი დათქმით, შვილებს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით, ხოლო გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით. ამასთან, მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს ბავშვის გვარის გამოცვლას. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ სარჩელის აღძვრის დისკრეციას ანიჭებს მხოლოდ იმ მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი საცხოვრებლად ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ. 10 წლამდე ბავშვის გვარის შეცვლისას მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებითმხედველობაში მიიღება მისი სურვილიც, ხოლო 10 წელზე ზემოთ აუცილებელია მისი თანხმობა.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს, რომლის სააქტო ჩანაწერი არ შეიცავდა მონაცემებს მამის შესახებ, დაადგინა, რომ მიუხედავად, შვილების მიმართ მშობლების თანაბარი უფლება-მოვალეობებისა, არასრულწლოვნისათვის მამის გვარის მიკუთვნება იმ პირობებში, როდესაც ბავშვი დაბადებიდან დედასთან ცხოვრობს, ხოლო მამასთან ერთი დღეს არ უცხოვრია, არ გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან და არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ეროვნული კანონმდებლობა ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ სარჩელის აღძვრის დისკრეციას ანიჭებს იმ მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი საცხოვრებლად, თუმცა სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვარის შეცვლა ბავშვის უპირატეს ინტერესს შეესაბამება. საკასაციო

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის №ას-857-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [1107.2021]

პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების არცერთი წინაპირობა; სახელდობრ, ბავშვი არ ცხოვრობდა მოსარჩელესთან და მეორე, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნება არ შეესაბამებოდა ბავშვის ინტერესებს, რადგან ბავშვს გათავისებული ჰქონდა თავისი სახელი და გვარი, რომელიც მისი პიროვნული იდენტიფიკაციის საშუალებაა. ბავშვს არსებული გვართ იცნობდნენ სკოლაში, როგორც მასწავლებლები, ისე კლასელები, მას გაუცხოება გააჩნდა მამასთან და შესაბამისად, ამ უკანასკნელის გვართანაც. მისთვის მამის გვარის მიკუთვნება, პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენდა მამასთან ურთიერთობის აღდგენის განმსაზღვრელ ფაქტორს.⁶¹

ბავშვის უფლებათა კოდექსმა ყურადღება გაამახვილა ბავშვის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პრაქტიკულადაც ამგვარად იყო დარეგულირებული საკითხი ახლადამოქმედებულმა კოდექსმა საკანონმდებლო დონეზე მიაჩნა მშობელს უფლება ბავშვი საკუთარი მორალური და რელიგიური შეხედულებების მიხედვით აღზარდოს. ამავე კოდექსით გაიწერა მშობლის მოვალეობა სათანადო ყურადღება დაუთმოს ბავშვის მოსაზრებებსა და საჭიროებებს. ამასთანავე, მშობელს დაეკირსა ვალდებულება ბავშვს მისი განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით მიაწოდოს ინფორმაცია და რჩევა-დარიგებები ბავშვის უფლებების, ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებებისა და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ.

მშობლის არაქონებრივი უფლებებიდან უნდა აღინიშნოს არასრულწლოვანი შვილის ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება, როდესაც ამას არასრულწლოვნის ინტერესები მოითხოვს. აღნიშნული ჩანაწერი მოცემულია სსკ 1142-ე მუხლში, თუმცა მოცემული მუხლი ამ დროისათვის წარმოადგენს მკვდარ ნორმას, რამდენადაც 16-დან 18 წლამდე ასაკის პირის ქორწინების შესაძლებლობას აღარ უშვებს კანონმდებლობა 2015 წელს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად.

რაც შეეხება, შვილების პირად არაქონებრივ მოვალეობებს მშობლების მიმართ კანონმდებლობა ასეთს ფაქტობრივად არ ითვალისწინებს.

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 06 ივნისის Nას-245-233-2017 გადაწყვეტილება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

2.3. მშობლებისა და შვილების ქონებრივი უფლება-მოვალეობები

როგორც წინა თავებში აღინიშნა, მშობლებისა და შვილების ურთიერთობები ხასიათდება ურთიერთგანპირობებულობით, ატარებს რა ორმხრივ ხასიათს, ერთმანეთის მიმართ უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ როგორც მშობლებს ისე შვილებს. ნაშრომის წინა თავში განხილულ პირად-არაქონებრივ უფლებებთან ერთად მშობლებისა და შვილების ურთიერთობა დატვირთულია ასევე ქონებრივი სახის უფლება-მოვალეობებით, რომელშიც უმთავრესად ამ სუბიექტების მიერ ერთმანეთის რჩენის მოვალეობას განიხილავენ. თუმცა გარდა საალიმენტო ვალდებულებებისა მშობლებსა და შვილებს გააჩნიათ სხვა უფლება-მოვალეობებიც, რომლებიც დაკავშირებულია ისევ მათ ქონებასთან. მოცემული ქვეთავი განიხილავს სწორედ ამ საკითხებს, ხოლო საალიმენტო ურთიერთობებს ნაშრომში ეთმობა ცალკე თავი.

თავდაპირველად, უნდა ითქვას, რომ, ჩვეულებრივ, გარკვეულ უძრავ და მოძრავ ნივთზე უფლება შესაძლოა გააჩნდეს მშობელს, თუმცა საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება არასრულწლოვნის საკუთრების უფლება. როგორც წესი, არასრულწლოვანს თავისი ასაკისა და რესურსების გამო არ შეუძლია თავად შეიძინოს მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნივთი, თუმცა მისი საკუთრების უფლების საფუძველი შეიძლება იყოს ჩუქების ხელშეკრულება, მემკვიდრეობის უფლება, მშობლების მიერ ბავშვისთვის შეძენილი ქონება, რა დროსაც ნივთის მესაკუთრედ რეგისტრირდება თავად არასრულწლოვანი.

უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვნის საკუთრების უფლება აღიარებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ბავშვის უფლებების შესახებ საქართველოს კანონით, რომელიც აცხადებს, რომ ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. ბავშვს უფლება აქვს, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.⁶² ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სსკ-ით დადგენილი მოთხოვნა, რომელიც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, გარდა იმ შემთხვევისა როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი

⁶² საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019. მუხლი 19. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

გარიგებით იღებს სარგებელს. იქიდან გამომდინარე, რომ მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულქმედუნარიანად ითვლება 7-დან 18 წლამდე პირიც, კანონის ეს დათქმა ვრცელდება არასრულწლოვანზეც.

ბავშვის უფლებათა კოდექსმა განსაზღვრა არასრულწლოვანი შვილის უფლება მშობლისაგან მიიღოს ნაღდი ფული ან პლასტიკური ბარათი ლიმიტის შესაბამისი თანხით სარგებლობისთვის, მისი თავისუფალი დროისა და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველდღიური გამოყენებისთვის. თანხის ოდენობა კი განისაზღვრება ინდივიდუალურად, ბავშვის ასაკის შესაბამისად, მშობლის კეთილი ნების საფუძველზე.⁶³

თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა წარმოადგენს ქონებასთან დაკავშირებულ მშობლის უპირველეს მოვალეობას, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.⁶⁴ თუმცა მშობლის ეს უფლება არ არის აბსოლუტური. დაუშვებელია მშობლის მიერ მშობლის უფლებები ისე განხორციელება, მათ შორის, ბავშვის ქონების იმგვარად მართვა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ზიანი მიაღგეს.⁶⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2019 წელს შეტანილი ცვლილებით გარკვეულწილად შეიზღუდა არასრულწლოვანი შვილის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული მშობლის უფლებები, კერძოდ, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ბავშვის მშობლის ან მისი სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, თუ ეს შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თუმცა, იმავე მშობლის მიერ ბავშვის კუთვნილი მოძრავი ქონების განკარგვის შემთხვევაში სასამართლოს თანხმობა მოითხოვება, თუ ხორციელდება ბავშვის საკუთრებაში არსებული 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე მოძრავი

⁶³ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019. მე-19 მუხლის მე-ეპ ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

⁶⁴ საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.07.1997, 1198-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> [10.07.2021]

⁶⁵ საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019. მუხლი 24-ე მუხლის მე-4 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]

ნივთის განკარგვა. შესაბამისად, არასრულწლოვნის კუთვნილი 1 000 ლარზე ნაკლები ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვა მშობელს კვლავ თავისუფლად შეუძლია.

კანონში არაა მითითება არასრულწლოვნის არამატერიალურ ქონებრივი უფლებების განკარგვასთან დაკავშირებით, ამდენად, ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი განკარგვა მშობელს კვლავ თავისუფლად შეუძლია, თუმცა ეს უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვანი შვილის ინტერესებს. აღნიშნული შეზღუდვების აუცილებლობა გამომწვეული იყო ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვით, რათა მომავალში არ დამდგრიყო მშობლების მიერ ქონების არასწორად განკარგვით გამომწვეული არასახარბიელო მდგომარეობის პირისპირ, რაც არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მართალია, შემცირდა ეს რისკები, თუმცა ამით მაინც არ არის სრულად უზრუნველყოფილი ნივთის განკარგვის შედეგად მიღებული თანხების სწორად და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განკარგვა, რამდენადაც თანხმობის გაცემის შემდეგ სასამართლოს და არც სხვა რომელიმე ორგანოს არ გააჩნია შესაბამისი ბერკეტები აკონტროლოს ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებლის ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენება.

კანონმდებლობაში არსებული გარკვეული ლაფსუსები მშობელს შესაძლებლობას აძლევს ასევე თავი აარიდოს არასრულწლოვნის ქონების განკარგვის შესახებ თანხმობის მისაღებად სასამართლოსათვის მიმართვას. შეზღუდულქმედუნარიანი შვილის ხელშეკრულების მხარედ გამოყვანისა და მის მიერ გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემის გზით.

საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ირკვევა, რომ 2015 წელს, ჯერ კიდევ ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, სანოტარო წესით იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის შვილის კუთვნილი უძრავი ნივთი. იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას მესაკუთრე იყო არასრულწლოვანი (17 წლის), ხელშეკრულების დადებაზე ნება გამოხატა, როგორც არასრულწლოვანმა, ისე მისმა მშობლებმა. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სააღსრულებო ფურცლით განისაზღვრა იპოთეკის საგნის რეალიზაცია კერძო აღმასრულებლის მიერ. საქმეში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 1198-ე მუხლი უზრუნველყოფს მშობელს შვილების სახელით ნებისმიერი საფუძვლით გარიგების დადების შესაძლებლობას.

გარიგების დადების ერთადერთ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს შვილის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფა. ქონების მართვა და გამოყენება განკარგვის უფლებამოსილებას არ გულისხმობს. რაც შეეხება, ჩანანერს, რომლის მიხედვით, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა გარეშე გამოდიან მათი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად, ნიშნავს, რომ მშობელი ბავშვის სახელით მხოლოდ ისეთ გარიგებებს დებს, რომლებიც აუცილებელია და ბავშვის ინტერესებშია. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილი ქონების იპოთეკით დატვირთვა მამის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო არასრულწლოვნის ინტერესების შესაბამისად. ამ სახის ნებისმიერი გარიგების დადება განპირობებული უნდა იყოს ბავშვის, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების მიღება და ა.შ.). სასამართლოს განმარტებით, ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ბავშვის ინტერესებშია, თუმცა ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ბავშვის ქონებაზე რისკის განევა, მით უფრო, თუ რისკი გაუთვლელი და დაუზღვეველია, ბავშვის ინტერესების საზიანო შედეგის მომტანია, შესაბამისად, ბავშვის ქონება უნდა დაიკარგოს მხოლოდ მისი ინტერესების შესაბამისად.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ კანონმდებელს არ გამოუვლენია ნება აეკრძალა არასრულწლოვნის მონაწილეობით გარიგების დადება, არასრულწლოვნის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების განკარგვა (მათ შორის, სანივთო-სამართლებრივი უფლებით დატვირთვა), რადგან ეს სამოქალაქო ბრუნვის დამაბრკოლებელი გახდებოდა და არასრულწლოვნის ინტერესების საზიანოც, რადგან მისი ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა საჭიროებების განხორციელების ერთ-ერთ შესაძლებლობად სწორედ მისი საკუთრებად რიცხული ქონების განკარგვაც იგულისხმება ბავშვის საუკეთესო ინტერესის თვალსაზრისით, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ინდივიდუალური შეფასებისა და მსჯელობის საგანია.⁶⁶

ბავშვის ქონებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს მშობლის შესაძლებლობა ანდერძით ან ნოტარიულად დამონშებული დოკუმენტის

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის Nას-944-2018 განჩინება.

საფუძველზე, დანიშნოს ბავშვის ქონების მართვის უფლების მქონე პირი და არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული კონკრეტული ქონების მართვის უფლება გადასცეს ქონების მეურვეს.

გარდა ჩამოთვლილი უფლებებისა, მშობლებსა და შვილებს გააჩნიათ ურთიერთმემკვიდრეობის უფლებაც, რაც გულისხმობს ერთ-ერთის გარდაცვალების შემთხვევაში მისი კუთვნილი აქტივებისა და პასივების მიღებას, როგორც ანდერძით ისე კანონით მემკვიდრეობის შედეგად - ისინი წარმოადგენენ ერთმანეთის პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს.

მშობლის უფლებება-მოვალეობების ჩამორთმევის შემთხვევაშიც კი შვილი, რომლის მიმართაც მშობელს ჩამოერთვა უფლება-მოვალეობები ინარჩუნებს ამ მშობლის მიმართ ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებ, მათ შორის მემკვიდრეობის უფლებასაც.

მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს აგრეთვე მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხებიც, კერძოდ, მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა ჩერდება ბავშვების სრულწლოვანობის დადგომამდე. და მათ მიერ 18 წლის მიღწვიდან დაიწყება მოთხოვნის წაყენების შესაბამისი ვადების ათვლა, თუ არასრულწლოვანმა 18 წლის მიღწევამდე არ გამოიყენა სსკ 1198¹-ე მუხლით მინიჭებული მშობლების (ასევე სხვა კანონიერი წარმომადგენლის) მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება.

2.4. მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება, შეზღუდვა, ჩამორთმევა და მშობლის უფლებებში აღდგენა

ბავშვის ორივე მშობლის მიერ ერთობლივად აღზრდა ყველაზე ბუნებრივი და გავრცელებული სიტუაციაა. თუმცა, ზოგჯერ ბავშვი ერთი ან ორივე მშობლისაგან ან ოჯახის წევრებისგან, ამის მრავალი მიზეზი არსებობს. განცალკევება შეიძლება გამოწვეული იყოს მშობლებისა ან ბავშვების წინააღმდეგ სახელმწიფო ღონისძიებების (დაპატიმრება, გაუჩინარება, მშობლის უფლებების ჩამორთმევა, ბავშვის სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში ან საპატიმროში გადაყვანა) გამოყენება; მშობლის ოჯახის ქმედებანი მშობლის მიერ შვილის მოტაცება, უკანონო გაშილება, განქორწინება, ემიგრაცია, უფლების ბოროტად გამოყენება, ან უგულვებელყოფა, ბავშვის სკოლა-

ინტერნატში ან მსგავს დანესებულებაში განთავსება, მშობლის დანაშულებრივი ქმედება - ბავშვის გაყიდვა) და სხვა.⁶⁷

სასამართლოს შეხედულება ამ საკითხებზე შემდეგნაირია, ბავშვისა და მშობლის ურთიერთობა შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს. სასამართლოს განსახილველია არა მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ შვილთან და ნახოს იგი, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა ჰქონდეს, რათა კონტაქტი არ დაიკარგოს მშობელთან, მიუხედავად მშობლების დაშორებისა. სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე რომლის თანახმად, ბავშვის ინტერესი მოიცავს ორ მხარეს. ერთის მხრივ ის აყალიბებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან უნდა იყოს შენარჩუნებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახი შეფასებულია როგორც შეუფერებელი. იგულისხმება, რომ ოჯახური კავშირი შეიძლება განწყდეს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობების შესანარჩუნებლად და, თუ შესაძლებელია, მოხდეს ოჯახის აღდგენა. მეორეს მხრივ, ბავშვის ინტერესებში აუცილებლად შედის ჯანსაღ გარემოში ჩამოყალიბება და მშობელს არ შეუძლია იმ ღონისძიებების მიღება, რომელიც ავნებს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას (ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმე „გ.ს. ს. წ.“, ველი 58, 60). განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ გაიზიარა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მამას უნდა ჰქონდეს რეგულარული ურთიერთობა არასრულწლოვან შვილებთან, ბავშვს ორივე მშობელთან აკავშირებს მიჯაჭვულობა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე ისინი მეტ მიჯაჭვულობას დედის მიმართ ავლენენ. ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის, რაც წარმომადგენს დამცავ ფაქტორს ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის. მნიშვნელოვანია

⁶⁷ შეად. ნევენა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იაპ ე. დოევი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015. 93 [10.07.2021]

მამის მხრიდან გარკვეული ქმედებების განხორციელების აკრძალვა, რაც ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ახდენს უარყოფით გავლენას, როგორცაა მაგალითად, ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ მისი წაყვანის მცდელობა, მეორე მშობლის წინააღმდეგ განწყობის ჩამოყალიბება და სხვა.⁶⁸

შვილების აღზრდის პროცესში მშობლები ვალდებული არიან შეასრულონ არამართობი და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები, არამედ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მოთხოვნებიც.⁶⁹

ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული ბავშვთა უფლებათა კონვენციაში. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისთვის.⁷⁰

სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას მისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ, ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს.

⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ივნისის Nას-578-2019 გადაწყვეტილება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

⁶⁹ შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017. 176. [10.07.2021]

⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-198-2019 გადაწყვეტილება <http://prg.supremecourt.ge> [09.06.2021]

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და განხორციელების სფეროში, ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს ამ ჭრილში აუცილებელ ღონისძიებათა გამოყენების გადაწყვეტილება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად დააყენოს სხვა ორგანოების, მათ შორის, სასამართლოს წინაშე. რაც შეეხება სასამართლოს, იგი ბავშვის უფლებების დაცვის ყველაზე კომპეტენტურ და ყვალასათვის მისაღებ ორგანოს წარმოადგენს.⁷¹ სწორედ სასამართლო არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის, შეჩერების, ჩამორთმევისა და მათი აღდგენის შესახებ.

მოცემული თავი მხოლოდ ზოგადად მიმოიხილავს მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვის, შეჩერების, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხებს, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვას დროებითი ხასიათი გააჩნია. ეს მექანიზმი გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როცა მშობლები შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ მოვალეობებს არაჯეროვნად ასრულებენ და ვერ ახდენენ სასურველ გავლენას ბავშვზე ან შექმნილი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების გამო შეუძლებელია მათ მიერ შესაბამისი უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მშობლების უფლება-მოვალეობათა შეზღუდვასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მათი შეჩერების შესაძლებლობას. თუ მშობლის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა უმთავრესად შვილების მიმართ არამართლზომიერი ქცევის გამო წესდება, შეჩერებას საფუძვლად უდევს მათი განხორციელების ობიექტურად შეუძლებლობა, მაგალითისთვის, სასამართლოს შეუძლია ბავშვის შესახებ დავის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს მშობლის უფლება იყენენ წარმომადგენლები სასამართლო წარმოების განმავლობაში.⁷² კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა შემთხვევებიც.

⁷¹ შეად. შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017. 178 [10.07.2021]

⁷² საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.07.1997. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> [10.07.2021]

რაც შეეხება მშობლის უფლებების ჩამორთმევას, იგი უვადო ხასიათისაა (სასამართლო გადაწყვეტილებაში არ ხდება რაიმე ვადაზე მითითება) და წარმოადგენს ყველაზე მძიმე შემთხვევას, რომელიც გამოიყენება როგორც უკიდურესი ღონისძიება იმ მშობლის მიმართ, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს - უხეშად ექცევა ბავშვს, უარყოფით გავლენას ახდენს მასზე ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მანანწალობა).

საკასაციო პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საკითხთან დაკავშირებით და თქვა, რომ მშობლის უფლებების ჩამორთმევით წყდება შვილსა და მშობელს შორის, როგორც იურიდიული, ისე სოციალური კავშირი. კანონის ნორმა სისტემატურ თავის არიდებაში გულისხმობს შემთხვევას, როცა მშობელს აქვს, როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდა-განვითარებაში, მაგრამ შეგნებულად ასეთს არ ახორციელებს. თუ პირი ობიექტური მიზეზების ან იმის გამო, რომ შეზღუდული აქვს საშუალებები მზრუნველობა გამოიჩინოს შვილისადმი (მაგალითად, როგორც ამ საქმის შემთხვევაში საზღვარგარეთ ყოფნის ფაქტი), კი არის მისი მხრიდან შვილის მიმართ ნაკლები მზრუნველობისა და უყურადღებობის გამომხატველი, მაგრამ არ შეიძლება მისი აღზრდის მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდების ბრალეულ ქმედებად იქნეს მიჩნეული.⁷³

სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახის განცალკევების პრევენცია და ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება ბავშვთა დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ეფუძნება ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას, რომელიც მოითხოვს, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ამასთან, ერთ ან ორივე მშბელთან დაცვილებული ბავშვი უფლებამოსილია რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ბავშვზე მშობელთან დაშორების სიმძიმის ზეგავლენიდან გამომდინარე ამგვარი დაშორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ, როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც ბავშვს ემუქრება უშუალო საფრთხე, ან როდესაც ეს სხვაგვარად არის აუცილებელი;

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება N3კ/480-01.

დაშორება არ უნდა განხორციელდეს თუ ნაკლებად მკაცრი ზომებით შესაძლებელია ბავშვის დაცვა. დაშორების განხორციელებამდე სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება მშობლებს თვითნაირი პასუხისმგებლობის შესრულებაში და აღდგინოს ან გააძლიეროს ოჯახის უნარი, იზრუნოს ბავშვზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაშორება აუცილებელია ბავშვის დასაცავად. ეკონომიკური მიზეზები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული გამართლებად ბავშვის მშობლებთან დაშორებისათვის.⁷⁴

რაც შეეხება მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენას, მართალია, ამ დროს მშობლის უფლებამოვალეობა ჩამორთმეული პირი კარგავს ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და მოვალეობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემდგომ შეუძლებელია ამ ურთიერთობების აღდგენა.

ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკის მიზანი ყოველთვის უნდა იყოს მისი დაბრუნება ოჯახში ან ოჯახის გაერთიანება იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ბავშვი ოჯახისგან განცალკევებულია.⁷⁵ მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შესაძლებელია სასამართლო წესით, თუ აღმოჩნდება, რომ ამ უფლებების შეზღუდვისა და ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის აზრსაც, თუმცა აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა, გამონაკლისია შვილად აყვანის ბათილად ცნობა. რაც შეეხება მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერებას, როგორც წესი, ამ შემთხვევაში მათი აღდგენა ხდება ავტომატურად შეჩერების ვადის ამოწურვის შემდეგ.

გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის №ა-4246-შ-126-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021].

⁷⁵ ნევენა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იაპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015. 197 [10.07.2021]

გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი.⁷⁶

მშობლის იმ ბავშვთან ხელახალი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობს სხვა პირებთან ერთად, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ამგვარი მომზადების ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, თუმცა, ყველა დაინტერესებული მხარის გაგება და თანამშრომლობა ყოველთვის იქნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ეროვნულმა ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ამ სფეროში ძალდატანების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, რადგან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, ასევე, უფლებები და თავისუფლება და განსაკუთრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები. თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ამ ინტერესებს ან აბრკოლებს ამ უფლებების განხორციელებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია შექმნას სამართლიანი ბალანსი. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს.⁷⁷

2.5. ბავშვის საუკეთესო ინტერესი და მშობლის უფლებები

მსოფლიო მასშტაბით თითქმის ყველა სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესები გაითვალისწინოს უპირატესად.⁷⁸

ეს ცნება კომპლექსურია და უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით. იგი მოქნილი და ადაპტირებადია და უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, შესაბამისი ბავშვის თუ ბავშვების კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონტექსტის, მდგომარეობისა და საჭიროებების

⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის №ას-857-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

⁷⁷ აღმინის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> [11.07.2021]

⁷⁸ ბობოხიძე მ., ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020, 22. <https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf> [11.07.2021]

გათვალისწინებით. თითოეული გადანაცვეტილებისათვის ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა შეფასდეს და განისაზღვროს ცალკეული ბავშვის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. კოლექტიური გადანაცვეტილების შემთხვევაში, როგორცაა კანონმდებლის მიერ მიღებული გადანაცვეტილებები, ზოგადად ბავშვთა საუკეთესო ინტერესები უნდა შეფასდეს და განისაზღვროს მოცემული ჯგუფის ან/და ზოგადად ბავშვების კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ორივე შემთხვევაში შეფასება და განსაზღვრა უნდა განხორციელდეს კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში განმტკიცებული უფლებების სრული პატივისცემით.⁷⁹

ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია მისი ცხოვრების ყველა ასპექტს შეეხება და მოიცავს. ეს იდეა არ არის ახალი და სათავეს იღებს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების კონცეფცია ბავშვებთან ან ბავშვებისთვის მომუშავე პროფესიონალებისთვის კარგად ნაცნობია მისი განსაზღვრება ძალზედ რთულად ჩამოსაყალიბებელია და იგი გამძვინვარებული კრიტიკის ობიექტად იქცა, რომელსაც ლარაკის ხვრელსაც კი ადრიან, რომლიც ამოვსება ვისაც, როგორ გაუხარდება ისე ხდება.⁸⁰ შეუძლებელია დადგინდეს ერთი უნივერსალური განმარტება ამ ცნებისთვის, რამდენადაც საკითხი იმის, შესახებ თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი შეეხება მისი ცხოვრების ყველა სფეროს და საჭიროა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების კონცეფცია ბავშვთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად არის აღიარებული, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლით. ბავშვის უფლებათა კოდექსი, არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანაცვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც განისაზღვრება მისთვის ინდივიდუალურად, ამავე კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, ხოლო მისი დადგენისას გაითვალისწინება ბავშვის ოჯახურ გარემოში პიროვნული განვითარების უფლება, ბავშვის სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების

⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის №ა-4246-შ-126-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

⁸⁰ ნევენა ვუჩკოვიჩ შაპოვიჩი, იაპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015. 110 [10.07.2021]

შესაძლებლობა და მისი მოსაზრებები. დიდი მნიშვნელობის მქონე ბავშვის უფლება იქნეს მოსმენილი. ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია ადგენს მშობლების ან შესაბამის შემთხვევაში კანონიერი მეურვეების ძირითად პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის და აცხადებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათ ზრუნვის საგანია.

წინამდებარე ქვეთავის კვლევის საგანს წარმოადგენს არა უშუალოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, არამედ მათი შეფარდება მშობლის უფლებებთან.

ნებისმიერი გადანყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე, უნდა შეფასდეს ფრთხილად. ეს ნიშნავს, რომ სხვათა, მაგალითად, მშობლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებმა, არ უნდა გადანონოს ბავშვის ინტერესები, თუმცა, მათ შესაძლოა გავლენა იქონიონ საბოლოო გადანყვეტილებაზე. ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება მიმართული უნდა იყოს უფლებების რეალიზებისკენ და ბავშვის მოსაზრების გათვალისწინებისკენ. აღნიშნული მოიცავს ბავშვის შეხედულებების, სულ მცირე, მოსმენას ისეთი გადანყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გავლენას მოახდენს ბავშვზე, აგრეთვე, იმის უზრუნველყოფას, რომ სხვათა მოსაზრებებიც მოსმენილი იქნას, მაგალითად, მზრუნველობის განმახორციელებელი პირების, ბავშვთან კავშირში მყოფი საზოგადოების წევრების და პროფესიონალების.⁸¹

ბავშვისა საუკეთესო ინტერესებისა და მშობლის უფლება-მოვალეობებს შორის წინააღმდეგობა შესაძლოა წარმოიშვას, როგორც პირად არაქონებრივ, ისე ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, იქნება ეს არასრულწლოვნის საცხოვრებლის განსაზღვრა, თუ მისი ქონების მართვა და სხვა, რაც განხილულია წინა თავებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს ბავშვის ინტერესების უპირატესობაზე მშობლის უფლებებთან მიმართებაში და აცხადებს, რომ მშობლის უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. ამ კუთხით ინტერესს იწვევს სასამართლო პრაქტიკა და მისი განმარტებები, რამდენადაც დაცული სფერო, ფაქტობრივად, შეუზღუდავია და საჭიროებს თითოეული საკითხის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვლევას. ამასთანავე, აღსანიშნავია, ისიც, რომ ბავშვის ინტერესების უპირატესობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, არ იძებნება სასამართლო გადანყვეტილება, სადაც მშობლის სურვილები წინა პლანზე გადმოინაცვლებდა, და განსხვავებული გადანყვეტილება იქნებოდა მიღებული, ამდენად შემოვიფარგლებით სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტებებით ამ ჭრილში.

⁸¹ ბობოხიძე მ., ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020, 22.
<https://ug.edu.ge/storage/dissertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf> [11.07.2021]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა დადგენილია როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება.⁸²

ერთ-ერთ საქმეში კი სადაც მხარეს წარმოადგენდა საქართველო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლის ინტერესებს.⁸³ ამგვარი გადაწყვეტილება იქნა მიღებული სხვა საქმეზეც, სადაც ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი

⁸² იხ. ECHR 31.07.2000 წლის გადაწყვეტილება *Elsholz v. Germany*, , პარ. 52; *TK and KM v. UK*, , 10.05.2001, პარ.72; სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.10.2017 წლის *Nას-1141-1061-2017* გადაწყვეტილება; სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.02.2016 წლის *Nას-967-916-2015*.

⁸³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება 6.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> [11.07.2021]

ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Ciliz v. the Netherlands).⁸⁴

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანაცვეტილების მიღება.⁸⁵

რაც შეეხება, საქმეებს, რომლებშიც სასამართლომ უნდა განსაზღვროს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ამ საკითხის კვლევისა და დადგენისას საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს ინკვიზიციური სამართალწარმოების ელემენტებით აღჭურავს, რაც სასამართლოს მიერ საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრის განსაზღვრასა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ მტკიცებულებების საკუთარი ინიციატივით გამოთხოვაში გამოიხატება.⁸⁶ ამისთან, მხოლოდ გადანაცვეტილების მიღება არაა საკმარისი და საჭიროა მისი დროული და ეფექტიანი აღსრულება, რათა ნამდვილად დაცული იქნეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ცნების - ბავშვის საუკეთესო ინტერესები - მოქნილობამ არ მისცეს დაინტერესებულ სუბიექტებს მანიპულირების შესაძლებლობა. საჭიროა მყისიერი რეგირება თითოეული ბავშვის სიტუაციაზე.

თავი III. მშობლისა და შვილად აყვანილი ბავშვის სამართლებრივი ურთიერთობები

3.1. შვილად აყვანის შიდასაკანონმდებლო რეგულირება

შვილად აყვანა მშობლებისგან განცალკევებული ბავშვის პრობლემის სამუდამო გადანაცვეტის გზად მიიჩნევა, ხოლო უშვილო პირებისთვის ეს არის გზა ჰყავდეთ შვილები.

მიუხედავად იმისა, რომ შვილება ერთ-ერთი უძველესი სოციალური ინსტიტუტია, მას საყოველთაო აღიარება მაინც არასდროს მოუპოვებია. ჯერ კიდევ არსებობენ ქვეყნები,

⁸⁴ ის. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის გადანაცვეტილება №ას-198-2019. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>

⁸⁵ სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის №ას-967-916-2015. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>

⁸⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის №ას-604-563-2017 განჩინება.

რომლებიც შვილად აყვანას სამართლებრივად არ აღიარებენ. ამ სახელმწიფოთა რიცხვში შედის ქვეყნები, სადაც მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვის შვილად აყვანა ჩვეულების სახით *de facto* არსებობს, თუმცა ოფიციალურად არ არის აღიარებული. შვილად აყვანის ინსტიტუტს დაახლოებით 160 სახელმწიფო აღარებს, 20 კი - არა.⁸⁷

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“ და კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ასევე ცნობილია ჰააგის კონვენციის სახელითაც, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, სოციალური მუშაობის შესახებ“ და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონებით, ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, თუმცა ცალკე უნდა გამოიყოს 2017 წელს მიღებული „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, შვილად აყვანა არის კანონით დადგენილი წესით მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს (ნაშვილებს) შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილს შორის.

შვილად აყვანის პროცესში სახელმწიფო ჩართულია თავისი არაერთი ორგანოს მეშვეობით, კერძოდ, შვილად აყვანის შესახებ გადანყვეტილებას მშობლის განცხადების საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ, იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. თავის მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. ხოლო შვილად აყვანის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო.

⁸⁷ ნევენა ვუჩკოვიჩ შაპოვიჩი, იააპ ე. დოევი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიდის თარგმანი, ლ. ალექსიდისა და ქ. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015.210. [10.07.2021]

შვილება ნამდვილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან და იგი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს რაიმე ვადაზე ან პირობით. შვილად აყვანა ხდება უშუალოდ მშვილებელი პირების მიერ და კანონი პირდაპირ ადგენს წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეუძლებლობას, თუმცა დასაშვებია მშვილებელი სასამართლოში წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მეშვეობით.

შვილად აყვანა ბიუროკრატიულობით ხასიათდება, რაც ართულებს ამ პროცესს, თუმცა ბავშვის გაშვილება და უცხო ოჯახში გადაცემა, რომელთანაც ამ დრომდე არანაირი კავშირი არ ჰქონია დიდი პასუხისმგებლობაა სახელმწიფოსთვის და საჭიროებს არსებული გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევას, პირველ რიგში, დღის წესრიგში დგება ამ პირების შესაბამისობის დადგენა, რაც უპირველესად მოითხოვს შვილად აყვანის მსურველი პირების შეფასებას ასაკის, ფიზიკური ჯანმრთელობის, პიროვნული თვისებების, პროფესიისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობის, ბავშვის აღზრდისა უნარებისა და სხვა შვილების არსებობის, მისი ოჯახის სიმყარისა და სახცლოვრებელი თუ ქონებრივი პირობების კუთხით.

შვილად აყვანის ძირითადი მიზანი, როგორც საქართველოს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა ერთ-ერთ საქმეში, არის არასრულწლოვნის რჩენისა და აღზრდისთვის ნორმალური პირობების შექმნა. შვილად აყვანა არა მხოლოდ ბავშვის ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს, არამედ იგი შვილად ამყვანის, მშობელთა გრძნობის გამოვლენისა და განხორციელების შესაბამისიც უნდა იყოს. ოჯახური ცხოვრების უფლების დადგენის მიზნით, პრეცედენტულ სამართალში განმარტებულია, რომ სახეზე უნდა იყოს მშობლისა და შვილი სოციალური ინტეგრაცია და შეჩვევის ინტენსიური ხასიათი, რაც ამავდროულად ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს - იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში.⁸⁸

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მშვილებელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები სრულწლოვანი პირი, რომელიც აღრიცხულია გასაშვილებელ პირთა და მშვილებელთა რეესტრში. რეესტრში თავმოყრილია მონაცემები გასაშვილებელ ბავშვთა და მშობელთა შესახებ, თუმცა ბავშვის რეესტრში აღრიცხვა არ ნიშნავს, რომ მისთვის აუცილებლად მოინახება მშვილებელი, ისევე, როგორც მშვილებლის რეესტრში აღრიცხვა არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად შეეთავაზება

⁸⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N2ბ/1285-19 განჩინება <https://ecd.court.ge/Decision#!> [11.07.2021].

გასაშვილებელი ბავშვი. შვილად აყვანისას დაცული უნდა იყოს რეესტრში არსებული რიგითობა, მშვილებლებისა და გასაშვილებელი ბავშვების თავსებადობის გათვალისწინებით. თუმცა შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიმართ არ მოქმედებს რიგითობის პრინციპი. ასეთი უფლებით სარგებლობს: 1. მშვილებელი, რომელსაც სურს შვილად აიყვანოს თავისი მეუღლის შვილი; 2. პირი, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი კანონით დადგენილ პირთა წრიდან; 3. მშვილებელი, რომელსაც უკვე ჰყავს შვილად აყვანილი გასაშვილებელი ბავშვის დედამამიშვილი და 4. მინდობით აღმზრდელს, რომელსაც ბოლო 6 თვის განმავლობაში მინდობით აღსაზრდელად ჰყავდა გადაცემული მინდობით აღსაზრდელი.⁸⁹

უნდა ითქვას ისიც, რომ კანონი პრივილეგიებთან ერთად გარკვეულ შემზღვევებსაც აწესებს შვილად აყვანის მსურველ პირთა მიმართ, კერძოდ, მშვილებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც შეეზღუდა, შეუჩერდა ან ჩამოერთვა მშობლის უფლებები, აგრეთვე პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჯეროვნად ვერ ასრულებს მშობლის მოვალეობებს, გააჩნია მოქმედი ნასამართლეობა გარკვეული მუხლების საფუძველზე.⁹⁰ ამ კუთხით კიდევ ერთი დათქმა მოქმედებს, რომლის თანახმად, არ შეიძლება ერთი ბავშვი შვილად აიყვანოს ორმა პირმა გარდა მეუღლეებისა, ხოლო თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, მოითხოვება მეორე მეუღლის თანხმობაც. თანხმობა მოითხოვება იმ შემთხვევაშიც, თუკი მეუღლეებს შორის საქორწინო ურთიერთობა შეწყვეტილია 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამგვარი მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზე, რამდენადაც არარეგისტრირებული ქორწინება არ წარმოშობს ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შორის უფლებ-მოვალეობებს.

რაც შეეხება გასაშვილებელ ბავშვს - იგი არის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და რეგისტრირებულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებლების ერთიან რეესტრში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დაშვებულია, მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის შვილება მისივე ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ

⁸⁹ საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.05.2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080?publication=6> [11.07.2021].

⁹⁰ ამომწურავი ჩამონათვალი განსაზღვრულია შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით.

მშვილბელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვება ისეთივე ურთერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილს შორის. მიუხედავად ამგვარი ჩანანერისა კოდექსი, გამონაკლისის სახით, უშვებს სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის შესაძლებლობას, თუ მშვილბელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილბელის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

გასაშვილბელი ბავშვის სტატუსი ენიჭება არასრულწლოვანს, რომელიც არის ობოლი, სასამართლომ აღიარა მიტოვებულად, რომლის მშობლები აღიარებულნი არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, ასევე ბავშვი, რომლის ყველა კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას მის გაშვილბებაზე.

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მშვილბელისა და გასაშვილბელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობის საკითხები. კანონით განწერილია მინიმალური და მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარი. დადგინილია, რომ მათ შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები, ხოლო ზედა ასაკობრივი ზღვარი მოქმედებს მხოლოდ 10 წლამდე ასაკის გასაშვილბელ ბავშვის შემთხვევაში და შეადგენს 49 წელს, თუმცა აქვე განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები - მშვილბელსა და 7-დან 10 წლამდე ბავშვს შორის ასაკობრივი ზღვარის წესის იგნორირება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; საპატიო მიზეზის არსებობა; შვილად აყვანა დაქორწინებული მშვილბელების მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც აკმაყოფილებს ასაკთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და უპირატესი უფლების მქონე მშვილბელის შემთხვევა.

ბავშვის შვილად აყვანის მიმართ არსებობს არაერთი საყურადღებო გარემოება. ერთ-ერთს წარმოადგენს მშვილბელის ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, არაა განსაზღვრული მეუღლეთა ქორწინებაში ყოფნის მინიმალური დრო, რომლის გასვლის შემდეგაც მიენიჭებათ მათ შვილების უფლება, რაც ხელს შეუწყობდა მეტად გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას და ერთგვარი ფილტრი იქნებოდა მშვილბელთა მიმართ, უფრო მეტიც, დღევანდელი მდგომარეობით საერთოდაც არ მოითხოვება პირის ქორწინებაში ყოფნა, რაც შესაძლებლობას აძლევს მარტოხელა პირს იშვილოს 0-დან 18 წლამდე ბავშვი. ყველა დონეზე აღიარებულია მცირეწლოვნობის ასაკში ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც

შესაძლოა მარტოხელა მშობელმა და მით, უფრო, მარტოხელა მამამ სათანადოდ ვერ უზრუნველყოს.

შვილად აყვანის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფიდენციალურობის პრინციპი. მშვილელის მოთხოვნით, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიცვალოს ბავშვის მონაცემები, მათ შორის, დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლებად მიეთითოს მშვილელეები. შესაბამის ორგანოებს ეკისრებათ შვილად აყვანის შესახებ ინფორმაციის შენახვა, ხოლო შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება თვალისწინებს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ზოგიერთ შემთხვევაში შვილად აყვანა უკავშირდება ბავშვების გაყიდვას, განსაკუთრებით საერთაშორისო გაშვილებისას. აკრძალულია შვილად აყვანის მსურველ პირსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მშობელს შორის წინასწარი მოლაპარაკება შვილად აყვანის მიზნით, ისევე, როგორც ამ მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ხელის შეწყობაც კი.

მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს არამართო მშვილელის უფლებას მიმართოს სასამართლოს პირის შვილად აყვანის მოთხოვნით, არამედ შვილად ასაყვანსაც უტოვებს ამგვარ შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობას საქართველოს ტერიტორიაზე, შვილად აყვანასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განცხადება შვილად აყვანის თაობაზე გერმანიის სასამართლოში წარდგენილი იყო მშვილელეებისა და შვილად ასაყვანის მიერ ერთობლივად, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა შვილად აყვანილმა. განცხადებით დადგინდა, რომ მშობლებს ბიოლოგიური ვაჟი ჰყავდათ, რომელიც შვილების წინააღმდეგი იყო. სასამართლოს განმარტებით, საგულისხმო იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის პროცედურა არ იყო დასრულებული, მშვილელეების მიერ უკვე იყო შედგენილი ანდერძი შვილად ასაყვანის მიმართ. საყურადღებო იყო, აგრეთვე, რომ ბიოლოგიური ვაჟის სამემკვიდრეო წილი მცირდებოდა, თუმცა ასევე მცირდებოდა მისი ვალდებულება მშობლებზე ზრუნვის საკითხში. გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მხარეებს მნიშვნელოვანი

ემოციური კავშირი გააჩნდათ, რაც გამონვეული იყო შვილად ასაყვანის მიერ, მშვილელის მიმართ სანიმუშო ზრუნვით. შვილად ასაყვანის ბიოლოგიურმა მშობლებმა, თანხმობა განაცხადეს შვილად აყვანის შესახებ.⁹¹

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა შვილად აყვანასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები მხოლოდ ზოგადად მოაწესრიგა და სასამართლოებს მიანდო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მდგომარეობის შეფასების შედეგად გადაწყვეტილების მიღების უფლება. სასამართლო პრაქტიკა კი, თავის მხრივ, კვლავ საჭიროებს ამ კუთხით განვითარებას.

3.2. მშობლის, შვილად აყვანილისა და მშვილელის ძირითად უფლება-მოვალეობათა მიმოხილვა

მშვილელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა იმგვარი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორცაა ბიოლოგიურ მშობელსა და შვილს შორის, შესაბამისად, ეს პირები როგორც ქონებრივი, ისე პირადი არაქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან მშობელსა და შვილს.

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, შვილად აყვანა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვის მშობლების სურვილზე,⁹² რამდენადაც დაუშვებელია მშობლის თანხმობის გარეშე გაშვილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: 1. მშობელს ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება; 2. გარდაცვლილია; 3. აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან 4. ბავშვი აღიარებულია მიტოვებულად.

მშობელი ბავშვის გაშვილებაზე თანხმობას, ჩვეულებრივ, იძლევა იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებულია იმაში, რომ მშობლებთან ბავშვის აღსაზრდელად უკეთესი პირობები არსებობს და მის მომავალს ცუდი არაფერი ემუქრება. მაგრამ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობაც, როცა ბავშვის საჩქაროდ გაშვილება ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფისთვისაც და მშობლების შემდგომი

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 ივნისის №ა-2590-შ-66-2021 განჩინება.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

⁹² შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017. 269. [10.07.2021].

ცხოვრებისთვისაც აუცილებელ და ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს.⁹³ ამასთანავე, ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა არ უნდა იყოს განპირობებული გასამრჯელოთი, ნებისმიერი მატერიალური ან/და ქონებრივი სიკეთით ან იძულებით.

ბავშვის გაშვილებაზე მშობლის თანხმობის შინაარსი გულისხმობს ამ თანხმობის უკან გამოთხოვის შესაძლებლობასაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ცხოვრების შეცვლილი პირობები, მშობლიური გრძნობის გაღვიძება, რასაც შეუძლია მშობლების ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად ნორმალური პირობების შექმნა, შვილად აყვანის ხელის შემშლელ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული. იგულისხმება, რომ თანხმობის გაცემიდან მის გამოთხოვამდე საკმაოდ დრო გავიდა იმისათვის, რომ მშობლებს თავიანთი პოზიცია კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ და დარწმუნებულიყვნენ ბავშვის გაშვილების მიზანშეუნაღობაში. ასეთ შემთხვევაში მშობლების თანხმობის უკან გამოთხოვა უდავოდ უნდა გახდეს შვილად აყვანაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ურთიერთობის სამივე მონაწილეს მშობელს, მშვილებელსა და 10 წელს მიღწეულ შვილად ასაყვან პირს უფლება აქვთ უარი განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე. რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება გახდეს შვილად აყვანაზე თანხმობის განცხადებიდან მისი რეალურად განხორციელებამდე დროის დიდი შუალედი.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოს კანონმდებლობით შვილი წლის ასაკიდან პირს ენიჭება შეზღუდული ქმედუნარიანობა, შვილად აყვანის ინსტიტუტი მხოლოდ ათი წლიდან ითვალისწინებს ბავშვის სურვილს და ათ წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანა მისი ინფორმირებული წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. ამასთან გამონაკლისი სახით გათვალისწინებულია შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე მოხდეს შვილება თუ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად მიიჩნევდა, რაც წარმოადგენს ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობათა იურიდიულ გაფორმებას და საჭიროა დადგინდეს ნამდვილად თვლის თუ არა ბავშვი მშობლად იმ პირს, რომელსაც მისი შვილება სურს და სხვა საკითხები

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნაშვილები კარგავს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და

⁹³ იქვე, 270.

თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავეების მიმართ.

როგორც აღინიშნა, შვილად აყვანა გულისხმობს მშვილელის უფლებრივ გათანაბრებას ბიოლოგიურ მშობელთან (მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობებზე უკვე იყო საუბარი წინა თავებში, თითოეული ეს უფლება უცვლელად ვრცელდება მოცემულ შემთხვევაზეც და ამჯერად აღარ შევჩერდებით მათ განხილვაზე). აქედან გამომდინარე, შვილად ამყვან პირსაც შეიძლება შეუჩერდეს, შეეზღუდოს ან ჩამოერთვას მშობლის უფლებები, თუ აღმოჩნდება, რომ ის სისტემატურად თავს არიდებდა ბავშვის აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან არაჯეროვნად იყენებდა მშობლის უფლებებს ან სხვა იმგვარი მიზეზის არსებობისას, რაც აუცილებელს გახდის შესაბამისი სამართლებრივი ზომების მიღებას.

შვილად აყვანის თემის განხილვისას დღის წესრიგში დგება პირის წარმომავლობაზე თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებას იცოდეს თავისი გენეტიკური წარმომავლობა, ფლობდეს ინფორმაციას ბიოლოგიური მშობლების, წინაპრების, ნათესავეების შესახებ. საკითხის სირთულეს განაპირობებს ის გარემოება, რომ გენეტიკურ წარმომავლობაზე თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია უპირისპირდება არანაკლებ მნიშვნელოვან ინტერესს - ბიოლოგიურ მშობელთა, მშვილელთა და დონორთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. აღნიშნულ საკითხზე მწირი სასამართლო პრაქტიკის გამო განვიხილავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას საქმეზე გოდელი იტალიის წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. აპლიკანტი აცხადებდა, რომ მისი დაბადების გარემოებების საიდუმლოდ შენახვით ირღვეოდა მისი უფლება საკუთარ წარმომავლობაზე. საქმის გარემოებების მიხედვით, აპლიკანტი შვილად აიყვანა გოდელის ოჯახში. 10 წლის ასაკში აპელანტმა შეიტყო მისი შვილად აყვანის შესახებ და მიუხედავად მისი მოთხოვნისა უარი მიიღო ბიოლოგიური მშობლებისა შესახებ ინფორმაციაზე. ამასთან, მას ეჭვი გაუჩნდა, რომ მის მახლობლად მცხოვრები ერთ-ერთი გოგონა, რომელიც ასევე ნაშილები იყო და მათი დაბადების თარიღებიც ემთხვეოდა, იყო მისი ტყუპისცალი. ამასთან, ორივე გოგონას ოჯახი წინააღმდეგი იყო მათი ურთერთობის. მომჩივანი ყურადღებას ამახვილებდა მის მძიმე ბავშვობაზე, რაც დაკავშირებული იყო საკუთარი წარმომავლობის დადგენის შეუძლებლობასთან. მომჩივანმა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან გამოითხოვა საკუთარი წარმოშობის შესახებ ინფორმაცია თუმცა მიიღო მხოლოდ დაბადების მოწმობა, რომელშიც არ ფიქსირდებოდა ბიოლოგიური დედის მონაცემები. დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს პირველი და მეორე

ინსტანციის სასამართლოებმა, იმ საფუძვლით, რომ ბავშვის დაბადებისას დედის მიერ გაცხადებული უარი არ იძლეოდა მის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას. მომჩივანი დავობდა, რომ მას ხელი არ მიუწვდებოდა არაიდენტიფიცირებად ინფორმაციაზეც კი. იტალიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ბიოლოგიური დედის ვინაობის გამჟღავნების შესაძლებლობას ამ უკანასკნელის თანხმობითაც კი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოში მოქმედი მოდელი ვერ უზრუნველყოფდა სამართლიანი ბალანსის დაცვას ბიოლოგიური დედისა და შვილის ინტერესებს შორის და აღიარა, რომ იტალიის სახელმწიფომ ბლაკეტური აკრძალვის მინიჭებით იგი ჩააყენა პრივილეგირებულ მდგომარეობაში ბავშვთან მიმართებით, რომელსაც არ შეეძლო საკუთარი იდენტობისა და წარსულის შესახებ ინფორმაციის მიღება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთარი იდენტობის დადგენა და გარკვევა ემსახურება პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რაც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. გამოყო რა აპლიკანტის ასაკი, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ, თუმცა, მომჩივანი უკვე 69 წლის იყო, საკუთარი წარმომავლობის დადგენის სურვილი არ გააჰნელებია.⁹⁴

როგორც უკვე ითქვა, შვილად აყვანის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფიდენციალურობის საკითხები. შვილად აყვანის პროცესში გამშვილებელი ხშირად ცდილობს დამალოს თავისი პიროვნება, ვინაობა, ხოლო შვილად ამყვანი მომართულია იქითკენ, რომ არაფერს გაიგოს და, მით უფრო, შვილად აყვანილმა პირმა არ შეიტყოს მისი შვილად აყვანის თაობაზე. ამ მიზნით, შვილად აყვანის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის, შვილად აყვანის პროცედურის მონიტორინგის მიზნით მომზადებული ანგარიშები, კონფიდენციალურია. გარდა ამისა, მშვილებლის მოთხოვნით, კონფიდენციალურობის მოტივით ბავშვს შეიძლება შეეცვალოს შესაბამისი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი - დაბადების თვის ფარგლებში.

მიუხედავად შვილად აყვანასთან დაკავშირებული გასაიდუმლოებებისა, მშვილებელს ბავშვის შვილად აყვანამდე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისი ბიოლოგიური მშობლების ვინაობის თაობაზე, ხოლო ნაშვილებს შეუძლია მიიღოს ბიოლოგიური მშობლების ვინაობის შესახებ ინფორმაცია მშვილებლისა და ბიოლოგიური მშობლის თანხმობით, აგრეთვე მიიღოს ინფორმაცია გაშვილებამდე არსებული მისი პირადი მონაცემების შესახებ.

⁹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება *GODELLI v. ITALY*

<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22godelli%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-113460%22%5D%7D> [11.07.2021]

რაც შეეხება მშვილებლისა და გამშვილებლის ურთიერთობებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო მართლშეგნების ნაწილია, ისიც, რომ აღმზრდელმა ოჯახმა, რომლის პოზიცია განპირობებულია შვილად ასაყვან ბავშვთან დამყარებული ემოციური კავშირით და ბავშვზე ზრუნვით, რაც მისი მუცლად ყოფნის პერიოდიდან იკვეთება ბიოლოგიური დედისადმი გამოჩენილი დახმარებითა და ყურადღებით, რადგან მშვილებლებს სურდათ შვილის აყვანა, უნდა გადადგას რთული, მაგრამ როგორც ზნეობრივად, ისე სამართლებრივად გამართლებული ნაბიჯი ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის და ხელი შეუწყოს მცირეწლოვნის ინტეგრაციას ბიოლოგიურ დედასთან.⁹⁵

3.3. სუროგატი მშობლის სამართლებრივი მდგომარეობა

პირები, რომელთაც მიუხედავად სურვილისა არ შეუძლიათ, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამედიცინო მიზეზების გამო ბუნებრივი გზით ჰყავდეთ შვილები მიმართავენ ალტერნატიულ მეთოდებს, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებულია სუროგაცია. უდიდესი სამეცნიერო მიღწევების ეპოქაში, რაც ჩვენს რეალობას წარმოადგენს, ხდება ისე, რომ აღმოაჩინენ და დანერგავენ სამეცნიერო თუ სამედიცინო ტექნიკას, მიგნებებს, რის შედეგადაც დღის წესრიგში დგება მოცემული პრობლემატური რეალობისა და პრაქტიკის სამართლებრივად დარეგულირების საჭიროება.

ხელოვნური განაყოფიერების შესაძლებლობის გაჩენით ეჭვქვეშ დადგა ტრადიციული შეხედულებები და გაჩნდა კითხვა თუ რას ნიშნავს იყო დედა. ახალმა საუკუნემ მშობლისა და შვილის ურთიერთობის განსაზღვრებას ახალი კომპონენტები შესძინა, წინასწარ განზრახვამ და ხელშეკრულების პირობებმა ჩაანაცვლა ბიოლოგიის ცნებები, რომლებიც გამოიყენებოდა ბავშვსა და მშობელს შორის კავშირის დადგენისას.⁹⁶

⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №ას-604-563-2017 განჩინება.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]

⁹⁶ Bewkes F., Surrogate or Mother: The problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender & Gender Soc. Just. 2004, 147, სამაგისტრო ნაშრომიდან ახალაძე ნ., სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, თბილისი, 2019, 11.

<https://openscience.ge/bitstream/1/1114/1/samagistro%20akhaladze.pdf#page=9&zoom=100,72,610> []

Bewkes F., Surrogate or Mother: The Problem of Traditional Surrogacy, 3 Tenn. J. Race Gender Soc. Just. (2014) 147

თავდაპირველად ტერმინი „სუროგატი“ ლათინური სიტყვიდან „subrogare“ მომდინარეობს და გულისხმობს „ვინმეს დაყენებას სხვის ადგილას“, ჩანაცვლებას.⁹⁷

სუროგატი მშობელი თავის თავში მოიაზრებს ქალს, რომელიც მუცლად ატარებს ბავშვს სხვა პირთათვის და ორსულობამდე აქვს გაცხადებული თანხმობა ბავშვის გადაცემაზე უმაღლეს მშობიარობის შემდეგ,⁹⁸ ხოლო მამაკაცი, რომლის გენეტიკური მასალის გამოყენებაც უნდა მოხდეს წარმოადგენს დონორს.

ერთი შეხედვით, სუროგაცია არაა ვინმესთვის ზიანის მომტანი ქმედება, არამედ მას მოაქვს სიხარული და კეთილდღეობა სხვა ოჯახებისთვის, რამდენადაც სუროგაცია იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას არამართო უშვილო წყვილებისთვის ჰყავდეთ შვილები, არამედ მან ფართო გამოყენება ჰპოვა აგრეთვე მარტოხელა მშობლებსა და სექსუალურ უმცირესობათა შორისაც. სუროგაცია, როგორც გენეტიკურად დაკავშირებული შვილის ყოლის ალტერნატიული მეთოდი, უკვე მრავალი წელია არსებობს, თუმცა მაინც რჩება ყველაზე საკამათო გზად ხელოვნური რეპროდუქციის სფეროში.

სუროგაცია სავსეა ეთიკური, სამართლებრივი და სოციალური წინააღმდეგობებით, რამდენადაც მას ორსულობის ტვირთი გადააქვს ერთ ქალიდან მეორეზე, გარდა ამისა გასათვალისწინებელია ამ გზით დაბადებული ბავშვის გრძნობებიც, რომელიც შეიტყობს თავისი დაბადების გზის შესახებ.

სუროგატული დედობის რამდენიმე სახე არსებობს: ტრადიციული, ალტრუისტული, კომერციული, გესტაციური. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.⁹⁹

1. ტრადიციული სუროგაცია, რა დროსაც გამოიყენება სუროგატი დედის კვერცხუჯრედი, იგი არის ბავშვის გესტაციური და ბიოლოგიურად დაკავშირებული მშობელი, ხოლო ბავშვის მამა შეიძლება იყოს პოტენციური მშობელი ან დონორი. ამ

⁹⁷ გლაზოვი გ., საოჯახო სუროგაციის შედარებითი მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(65), 2020, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf>

⁹⁸ გელაშვილი ი., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012. 152

⁹⁹ გლაზოვი გ., საოჯახო სუროგაციის შედარებითი მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(65), 2020, 96. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf>

შემთხვევაში არსებობს წინასწარი განზრახვა ბავშვი გადაეცეს ბიოლოგიურ/არაბიოლოგიურ მამასა და მის მეუღლეს/ პარტნიორს. როგორც წესი ბავშვის ჩასახვა ხდება ხელოვნური ინსემინაციის გზით, თუმცა არ გამოირიცხება სქესობრივი აქტის შედეგად განაყოფიერებაც.

ურთიერთობა სუროგატ დედასა და დაბადებულ ბავშვს შორის დიდი ინტერესის საგანია, განსაკუთრებით, როდესაც ისინი გენეტიკურად არიან დაკავშირებულნი. სწორედ ამ კავშირის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციულ სუროგაციას ნაკლები მსურველი ჰყავს და ძირითადად გამოიყენება გესტაციური სუროგაცია.¹⁰⁰ აშშ-ში ტრადიციული სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვზე მშობლის სტატუსის მოპოვების თაობაზე დავისას სასამართლოები უპირატესობას სუროგატ დედას ანიჭებენ.¹⁰¹

2. ალტრუისტული სუროგაცია - ემპათიური უცხტი უშვილო წყვილების მიმართ. ამ შემთხვევაში სუროგატი დედა არ იღებს არანაირ ანაზღაურებას ორსულობის ან ბავშვზე უარის თქმის გამო, რაც უმეტესად მორალური შეხედულებებითაა განპირობებული, თუმცა ორსულობასა და ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორც წესი, გაიღებენ პოტენციური მშობლები. თუმცა შეიძლება ამ ფორმით დაიფაროს კომერციული სუროგაციის განხორციელებაც.

3. კომერციული სუროგაცია - „womb for rent“, “baby farms”- კომერციული სუროგაციის მთვარი ელემენტია ფულადი ანაზღაურება. ალტრუისტული სუროგაციისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში სუროგატი დედა მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდ თანხმდება გესტაციის მომსახურების განევასა და ბავშვის ფიზიკურად გადაცემას.¹⁰²

4. გესტაციური სუროგაცია - ეს არის ექსტრაკორპორული განაყოფიერების (in vitro fertilization) ან ემბრიონის ტრანსპლანტაციის (embryo transplantation) შედეგი.

¹⁰⁰ Dolgin J., Status and Contract in Surrogate Motherhood: An Illumination of the Surrogacy Debate, 38 Buff, L. Rev. p. 521, (1990) სამაგისტრო ნაშრომიდან: ახალაძე ნ., სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, თბილისი, 2019, 8.

<https://openscience.ge/bitstream/1/1114/1/samagistro%20akhaladze.pdf#page=9&zoom=100,72,610> []

¹⁰¹ ახალაძე ნ., სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019. <https://openscience.ge/bitstream/1/1114/1/samagistro%20akhaladze.pdf> []

¹⁰² Report of Special Rapporteur on the sale and sexual exploitation of children, including child prostitution, child pornography and child sexual abuse material, United Nations General Assembly, 2018, 11, სამაგისტრო ნაშრომიდან: ახალაძე ნ., სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019. 14.

<https://openscience.ge/bitstream/1/1114/1/samagistro%20akhaladze.pdf> []

გესტაციური სუროგატული დედის ორსულობა გამოწვეულია მის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანით, რომელთანაც მას არ გააჩნია გენეტიკური კავშირი. გესტაციური სუროგატული დედა არის პირი, რომელიც არ არის „სავარაუდო“ მშობელი ან დონორი, რომელმაც გასცა კვერცხუჯრედი ჩანასახის შესაქმნელად, რომლის გადატანაც ხდება გესტაციური სუროგატის სხეულში, ვინც თანხმდება ერთობლივი განაყოფიერების საშუალებების გამოყენებით ორსულობაზე და სავარაუდო მშობლების ბავშვის დაბადებაზე, სავარაუდო მშობლების სახელით.¹⁰³ მიუხედავად იმისა, რომ ემბრიონი არ არის სუროგატი მშობლის გენეტიკური მასალით შექმნილი, მაინც ჩნდება კითხვა, ვინაიდან სუროგატი დედის სისხლი მიედინება ფეტუსის გულში, გადაეცემა თუ არა მას სუროგატის დნმ? კვლევების თანახმად, პასუხი უარყოფითია. კვლევებმა აჩვენა, რომ სუროგატის უჯრედებს შეუძლიათ შეაღწიონ პლაცენტაში და პირიქით, თუმცა ეფექტურ ფილტრს წარმოადგენ და უჯრედების რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ვერ ახდენს გავლენას ნაყოფზე.¹⁰⁴

პოტენციური მშობლები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებაში ინარჩუნებენ სუროგატ დედაზე უფრო მაღალი ხარისხის კონტროლს სამართლებრივად და გენეტიკურად.¹⁰⁵

გარდა ამისა, გამოყოფენ სუროგაციის დამატებით სახეს სოციალური სუროგაციის სახელწოდებით. ეს გახლავთ გესტაციური სუროგაციის ტიპი, როდესაც პოტენციური დედა კარიერული ან კოსმეტიკური მიზნების გამო მიმართავს სუროგაციას, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს შესაძლებლობა ბავშვი საკუთარ სხეულში გამოზარდოს. მათ არ სურთ ორსულობის თანმდევი სხეულის ფორმებისა და წონის პრობლემის განცდა,¹⁰⁶ თუმცა ამგვარი მიზეზით დაუშვებელი უნდა იყოს სუროგაციის გამოყენება.

¹⁰³ გლაზოვი გ., საოჯახო სუროგაციის შედარებითი მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(65), 2020, 97. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf> [10.07.2021]

¹⁰⁴ იხ. Do Surrogate Mothers pass on DNA? სტატია, 18.05.2018.

<https://www.conceiveabilities.com/about/blog/do-surrogate-mothers-pass-on-dna> [10.07.2021]

¹⁰⁵ Ikemoto, Reproductive Tourism: Equality Concerns in the Global Market for Fertility Services, 27 Law & Inequality (2009) 277-299, სამაგისტრო ნაშრომიდან: ახალაძე ნ., სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019. 14.

<https://openscience.ge/bitstream/1/1114/1/samagistro%20akhaladze.pdf> [10.07.2021]

¹⁰⁶ Hartis a. n. The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, SSRN Electronic Journal, September 2010, 2 <http://users.uoa.gr/~ahatzis/Surrogacy.pdf> [10.07.2021]

მიუხედავად სახესხვაობებისა თითოეული ტიპის სუროგატს გააჩნია ერთი და იგივე უფლება-მოვალეობები, როგორც შემკვეთი წყვილის ისე ბავშვის მიმართ.

დღევანდელი საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული მდგომარეობით, სუროგაციასთან და ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მხოლოდ რამდენიმე ნორმით, რომელთა ნაწილი გათვალისწინებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონებით, ხოლო ნაწილი გარკვეულწილად წესრიგდება კანონქვემდებარე აქტებით - საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესით“ და საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესით“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნორმების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა და განსაზღვრავს ექსტრაკორპორული განაყოფიერების დაშვების შემთხვევებს, ხოლო სხვა ნორმები ეთმობა ამგვარად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციას.

საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია ექსტრაკორპორული განაყოფიერება და ისიც მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. უშილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა და 2. თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით. წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია. განსაზღვრულია აგრეთვე განაყოფიერება დონორის სპერმით მხოლოდ უშილობის გამო ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისთვის, თუ მიღებულია უშილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ამასთანავე, დაშვებულია ხელოვნური განაყოფიერების მიზნით გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალისა და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება, ხოლო კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით.¹⁰⁷ მოცემული ნორმები მეტად ბუნდოვანია და არ განსაზღვრავს მაგალითად, ვინ შეიძლება იყოს

¹⁰⁷ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.12.1997, 141 და 143-144-ე მუხლები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46>

დონორი, ამდენად შესაძლებელია დონორად გამოვიდეს ქალიც, რამდენადაც საუბარია ექსტრაკორპორულ განაყოფიერებაზე დონორის უჯრედების გამოყენებით. საკანონმდებლო სივრცეში არსებული დღევანდელი მდგომარეობით არ რეგულირდება მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სუროგატის ასაკი, აბორტის გაკეთების უფლება, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები, შვებულება და სხვა, რაც წარმოადგენს დიდ სიცარიელესა და ხარვეზს კანონმდებლობაში. ამგვარად დაურეგულირებელი მდგომარეობა ურთიერთობის ორივე მხრიდან, როგორც სუროგატი დედის, ისე შემკვეთი წყვილის მხრიდან იძლევა ნაკისრ მოვალეობათა შეუსრულებლობის შესაძლებლობას, ხოლო იძულებით შესრულების საშუალებები და გზები ბუნდოვანია. იქმნება ამ კუთხით უკვე არსებული ნორმების დახვეწის და დამატებითი მუხლების შემუშავების საჭიროება.¹⁰⁸

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ან მარტოხელა ქალი მიიჩნევა მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს ან „სუროგატულ დედას“ არ აქვს დაბადებული ბავშვის მშობლებად ცნობის უფლება.¹⁰⁹

ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევა: ა) გენეტიკური მშობლები; ბ) გენეტიკური მშობლები და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში ჩასაწერი პირი; გ) წყვილი. კანონმდებლობა პირდაპირ და ცალსახად ადგენს, რომ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის“ მითითება დაუშვებელია.¹¹⁰

ტრადიციულ სუროგაციასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული გახლდათ Baby M -ის საქმე, რომელშიც უილიამ სტერნმა და მისმა მეუღლემ, რომლისთვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბავშვის გაჩენა დაკავშირებული იყო გარკვეულ რისკებთან დადეს ხელშეკრულება მერი ბეტ ვაიტჰედთან.

¹⁰⁸ შვად. გლაზოვი გ., საოჯახო სუროგაციის შედარებითი მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(65), 2020, 97. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martimsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf> [10.07.2021]

¹⁰⁹ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.12.1997, 143-ე მუხლები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46>

¹¹⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება N 18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1572063?publication=0>

ხელშეკრულების თანახმად, ხელოვნური ინსემინაციისას გამოყენებული იქნებოდა უილიამ სტერნის გენეტიკური მასალა, ხოლო მერი ბეტ ვაიტჰედი გააჩნდა ბავშვს, გადასცემდა მას შემკვეთ წყვილს, და გაივლიდა ყველა საჭირო პროცედურას რათა შეწყვეტილიყო მისი როგორც დედის უფლებები და შემკვეთ წყვილს შესაძლებლობა ჰქონოდათ ეშვილათ ბავშვი. თუმცა სუროგატმა დედამ თავის ქმართან ერთად გადანყვიტა დაეტოვებინა ბავშვი. შემკვეთმა წყვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში სუროგატი დედისთვის მშობლის უფლებების შეწყვეტის, ბავშვზე მეუვეობის მოპოვებისა და ელიზაბეტ სტერნის მიერ ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით. ნიუ-ჯერსის უზენაესმა სასამართლომ სუროგაციის შესახებ ხელშეკრულება ბათილად ცნო, ბავშვის დედად აღიარა სუროგატი დედა, თუმცა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მითითებით მეურვეობის უფლება მიანიჭა ბიოლოგიურ მამას, სუროგატ დედას კი განუსაზღვრა ბავშვის მონახულების საათები. სასამართლომ სუროგაციასთან მიმართებით განმარტა, რომ სუროგატი დედის მშობლის უფლება შეწყდა მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე და არა იმის გამო, რომ მამის უფლება უპირატესია დედის უფლებებზე. საქმის განმხილველი სასამართლო განმარტავდა, რომ სუროგატი მშობელი არ იღებს გაცნობიერებულ, ინფორმირებულ, მოხალისეობრივ გადანყვიტელებას, არ გაიაზრებს მისი მიჯაჭვულობის სიძლიერეს ბავშვთან, ასევე გასათვალისწინებელია ბავშვის ღირსების გრძნობაზე შესაძლო გავლენები. სასამართლომ სუროგაცია აღწერა როგორც ბავშვით ვაჭრობის მომცველი ან მინიმუმ ბავშვის მიმართ დედის უფლებებით ვაჭრობა.¹¹¹

რაც შეეხება, სუროგატი დედის ურთიერთობებს ბავშვთან, საქართველოს სასამართლოების გადანყვიტელებათა ჭრილში ამ საკითხებზე არ არის შემუშავებული მიდგომები, რამდენადაც არც გააჩნია სუროგატ დედას რაიმე უფლება უკვე დაბადებული ბავშვის მიმართ. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ კანონმდებლობა არც ჯერ არ დაბადებული ბავშვის მიმართ აკისრებს სუროგატს რაიმე უფლება-მოვალეობას, მათ შორის, არც საკუთარი და ნაცოფის ჯანმრთელობაზე ზრუნვას, მისი ამგვარი ვალდებულება შეიძლება განისაზღვრული იყოს მხოლოდ ხელშეკრულებით.

¹¹¹ Strasser M. Traditional surrogacy contracts, partial enforcement, and the challenge for family law, Journal of Health Care Law and Policy, volume 18, issue, article 4, p. 89. <https://core.ac.uk/download/pdf/56359762.pdf>

საქართველოს უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემასა და საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემაში არ იძებნება ამ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, არამედ მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილება არის მიღებული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის სააქტო ჩანაწერებთან და გაყინული ემბრიონის მეორე მეუღლის ნებისაგან დამოუკიდებლად გამოყენებას შეეხება, რაც ნაშრომის საკვლევი საკითხების მიღმაა.

3.4. შვილად აყვანის გაუქმება/ბათილად ცნობა

შვილად აყვანის ინსტიტუტთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა. შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტის სწორედ ამ ორ გზას იცნობს საქართველოს კანონმდებლობა. ორივე მათგანი თითქმის იდენტური შინაარსის მატარებელია, მათი საბოლოო შედეგებიც იგივეა - შვილად აყვანის შეწყვეტა, თუმცა გააჩნიათ სხვადასხვა საფუძვლები. პირველ რიგში, შვილად აყვანის გაუქმება გულისხმობს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, მაშინ, როდესაც შვილად აყვანის გაბათილება ნიშნავს, მის აღიარებას ისეთ ფაქტად, რომელსაც არც არასოდეს წარმოუშვია უფლება მოვალეობები ურთიერთობის მონაწილეთათვის.

რამდენადაც შვილად აყვანა ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მის შეწყვეტასაც საფუძველად უდევს სასამართლო გადაწყვეტილება. რაც შეეხება მოთხოვნის უფლების მქონე პირებს, შვილად აყვანის გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მიზნით სასარჩელო განცხადების სასამართლოში წარდგენის უფლება აქვს: 1. ნაშვილების ბიოლოგიურ მშობელს; 2. მშვილებელს; 3. ნაშილებს; 4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ხოლო ბათილად ცნობის შემთხვევაში ამგვარი ჩამონათვალი არ არის დადგენილი და კანონმდებლობა შემოიფარგლება ზოგადი ჩანაწერით, რომ შვილად აყვანის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გააჩნია იმ პირს, რომლის უფლებაც დაირღვა შვილად აყვანით. ორივე შემთხვევაში საქმე განიხილება სასარჩელო წარმოების წესით.

შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილად ცნობის საფუძვლებს ამ ეტაპზე არ შეეხებით, რამდენადაც ნაშრომისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია იმ შედეგების განხილვა, რასაც იწვევს მისი გაუქმება და ბათილად ცნობა ურთიერთობის მონაწილეთათვის.

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს რა დროიდან ითვლება შვილად აყვანა შეწყვეტილად. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონი უთითებს, რომ შვილად აყვანა გაუქმებულად ითვლება შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, ხოლო მისი ბათილად აღიარება დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან. ამ დროიდან, ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები წყდება. გამონაკლისს წარმოადგენს მშვილებლის მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო შვილად აყვანის გაუქმება, რა დროსაც ბავშვს უნარჩუნდება მშვილებლისაგან ალიმენტის მიღების უფლება.

როგორც უნინ აღინიშნა, შვილად აყვანისას შესაძლებელია შეიცვალოს ბავშვის შესახებ ინფორმაცია. ამ იურიდიული ფაქტის გაუქმება/ბათილად ცნობა იძლევა ბავშვის თავდაპირველი მონაცემების აღდგენის საშუალებას. საკითხს ნაშვილების პირადი მონაცემების ბათილად ცნობის ანდა შენარჩუნებისა თუ აღდგენის შესახებ წყვეტს სასამართლო.

რაც შეეხება, გამშვილებლის ურთიერთობებს, შვილად აყვანის გაუქმებისა თუ ბათილად ცნობის ფაქტი თავისთავად არ იწვევს ბავშვსა და გამშვილებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობების გარანტირებულ აღდგენას. საკითხს ამის შესახებ წყვეტს სასამართლო. ისევე, როგორც შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ნაშვილების მიმართ შედგენილი დაბადების სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერის ძალაში დატოვების ან ბათილად ცნობის საკითხს. ჩანაწერის ბათილად ცნობის შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მიუთითებს იმ მონაცემებზე, რომლებიც უნდა ჩაითვალოს ნამდვილად შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის დროს.

რაც შეეხება სასამართლოს მდგომებს, ამ ჭრილში საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა შვილად აყვანილი დის ინიციატივით, პირის შვილად აყვანის ბათილად ცნობას. სასამართლოში საჩივარი წარდგენილი იყო ნაშვილები პირის მიერ. აპლიკანტი დავობდა, რომ მისი შვილად აყვანის ბათილად ცნობა თვითნებობას და მის ოჯახურ ცხოვრებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენდა. მისი განცხადებით, მშვილებელ დედასთან ერთად 9 წლის ასაკიდან ცხოვრობდა და მათ ურთერთა დაფუძნებული იყო სიყვარულზე, პასუხისმგებლობასა და ორმხრივ მხარდაჭერაზე.

მომჩივანი ასევე დავობდა, რომ შვილად აყვანის ბათლად ცნობის შემდეგ მან დაკარგა საკუთრების უფლება ტყის 5 ჰექტარზე, რომელიც მან მშვილგებელი დედისგან მემკვიდრეობით მიიღო. ეს იყო პირველი შემთხვევა, სადაც ევროპულ სასამართლოს შვილად აყვანის გაუქმებაზე უნდა ემსჯელა იმ კონტექსტში, როდესაც შვილად ამყვანი გარდაცვლილი იყო, ხოლო შვილად აყვანილ ბავშვი დიდი ხანია სრულწლოვანი იყო. საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ბუნდოვანი იყო და ასეთი რადიკალური ღონისძიების გატარება არ იყო გამართლებული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა არ იყო გამართლებული შესაბამისი და საკმარისი მიზეზებით და აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, შვილად აყვანის გაუქმება შვილად აყვანილი ბავშვის საწინააღმდეგოდ გასატარებელ ღონისძიებად არც უნდა იყოს გათვალისწინებული და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართლებრივ დებულებებსა და შვილად აყვანასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ბავშვის ინტერესს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.¹¹²

სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებისას ეყრდნობა თავის შინაგან რწმენას, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. შვილად აყვანის ფიქციურობის დადგენა დაკავშირებულია მეორე მხარის უფლებებსა და ინტერესებთან და მეტად ფაქიზ თემას წარმოადგენს. საჭიროა ზუსტად და სწორად დადგინდეს საქმის გარემოებები. შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილად ცნობისათვის საკმარისი საფუძვლების არსებობის დამტკიცება ამ ურთიერთობის ოჯახური და გარკვეულწილად ჩაკეტილი ბუნებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, დაკავშირებულია სიძნელეებთან, მით უმეტეს, როდესაც შვილად აყვანა ფიქციურია. არამართო შვილად აყვანის არამედ სხვა დავების შემთხვევაშიც, ფაქტის ფიქციურობა მტკიცების კუთხით სირთულეებთანაა დაკავშირებული, თავდაპირველად, მხარეები მიმართულნი არიან იქითკენ, რომ დამალონ ურთიერთობის ფიქციური ხასიათი. მტკიცების ტვირთის განაწილებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორივე მხარის ინტერესები, დაუშვებელია რომელიმე მათგანს დაეკისროს მტკიცების დაუძლეველი სტანდარტის დაკმაყოფილება. შვილად აყვანის ფიქციურობის მოტივით, სრულწლოვანი პირის

¹¹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება ზაიეტი რუმინეთის წინააღმდეგ, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevedi5.pdf> [11.07.2021]

შვილად აყვანის ბათილად ცნობის საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევასთან მიმართებით სარჩელზე დართული უნდა იყოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც არა ვარაუდის, არამედ სადავო საკითხზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა.¹¹³

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ შვილად აყვანა - ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სოციალური და ზნეობრივი ღირებულება, ძირითადად იმპერატიული ნორმებით რეგულირდება, ხოლო შვილად აყვანის პროცესი ხასიათდება ზედმეტი ბიუროკრატიულობით. შვილად აყვანის, სუბიექტების უფლება-მოვალეობებისა და შვილების გაუქმების/ბათილად ცნობის კუთხით, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული ფუნდამენტური გადაწყვეტილებები მწირია. რამდენადაც საკითხი მაღალი სენსიტიურობით ხასიათდება, მნიშვნელოვანია მისი სიღრმისეული გაანალიზება.

თავი IV. მშობლებისა და შვილების ურთიერთრჩენის მოვალეობა

4.1. ალიმენტის ინსტიტუტის მიმოხილვა

საოჯახო სამართალში ოჯახის წევრთა ურთიერთობები უმეტესად ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე განისაზღვრება. მათ ერთმანეთზე ზრუნვისა და დახმარების ვალდებულება გააჩნიათ. ოჯახის წევრთა ურთიერთობების ქონებრივი ნაწილის სამართლებრივ რეგულირებას იგივე ზნეობრივი პოსტულატები უდევს საფუძველად. კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრები ვალდებულნი არიან იზრუნონ ერთმანეთის მიმართ, გულისხმობს მათ ქონებრივ ვალდებულებას - აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. „ალიმენტის“ შინაარსის მქონე თითქმის ადეკვატურ ცნებად იხმარება „სარჩო“.¹¹⁴

¹¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 02 აპრილის Nას-53-48-2015 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

¹¹⁴ შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017. 185.[10.07.2021]

საალიმენტო ვალდებულებად მიიჩნევა საოჯახო ურთიერთობათა საფუძველზე ერთი პირისთვის მეორის სასარგებლოდ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით სარჩოს გადახდის დაკისრება.¹¹⁵

ალიმენტის ინსტიტუტი არაერთჯერად ხასიათს ატარებს - სარჩოს ერთხელ გადახდით ვერ შეწყდება პირის საალიმენტო მოვალეობა. პირი, რომელიც ვალდებულია იხადოს ალიმენტი მას იხდის ნებაყოფლობით პირადად შემოსავლის მიღების ადგილის მიხედვით. ამასთან, შემოსავლის „მიღების ადგილი“ არ მოიცავს მხოლოდ სამუშაო ადგილს, არამედ განიმარტება უფრო ფართოდ. ნებაყოფლობითობის პრინციპი არ გამოირიცხავს ალიმენტის მიმღები პირის უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

შესაბამისად კანონმდებელი გვთვამობს ალიმენტის დაკისრების 2 საშუალებას: სასამართლო წესით და საალიმენტო შეთანხმების საფუძველზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას, რომლითაც ალიმენტვალდებული პირი კისრულობს ვალდებულებას მისცეს მატერიალური სარჩო ალიმენტის მოთხოვნის უფლების მქონე პირს ურთიერთშეთანხმებული პირობებით.¹¹⁶

ალიმენტის დაკისრება სასამართლო წესით ხდება მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მშობელი უარს ამბობს ნებაყოფლობით აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება შვილებს, არ იღებს ხარჯებს საოჯახო მეურნეობის წარმართვისთვის, ანიავეს იმ სახსრებს, რაც აუცილებელია არასრულწლოვანი შვილების სარჩენად, ან მაშინ, როდესაც განქორწინებასა და ოჯახის დაშლასთან დაკავშირებით აუცილებელია, განისაზღვროს თითოეული მშობლის მატერიალური მონაწილეობა ბავშვის რჩენაში.¹¹⁷

საალიმენტო ურთიერთობა ცალმხრივ ხასიათს ატარებს, ალიმენტვალდებული პირის მოვალეობას შეესაბამება ალიმენტის მიმღები პირის უფლებები.

ალიმენტის მოთხოვნის უფლების განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს ამ უფლების დაკარგვამდე, ხოლო მისი გადახდის დაკისრება შეიძლება მხოლოდ

¹¹⁵ იქვე, 186.

¹¹⁶ შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017. 189.[10.07.2021]

¹¹⁷ ჯაფარიძე ქ., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015. 155.

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf [11.07.2021]

მომავალი დროისთვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულია საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება წარსული დროისთვის. ეს ის შემთხვევაა, როცა სარჩელის წარდგენამდე მიიღო მოთხოვნის უფლების მქონე პირმა ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული, ვალდებული პირის მიერ თავის არიდების გამო. ასეთ შემთხვევაშიც, მთელი წარსული დროისთვის არ გადაიხდევენება სარჩო, არამედ დადგენილია სამი წლის პერიოდი.

ალიმენტის ინსტიტუტის ფარგლებში საკვანძო საკითხია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა, რამდენადაც სხვა პროცედურების მსგავსად კანონი არ შეიცავს მისი ოდენობის დადგენის რაიმე ფორმულას და კანონმდებელმა მთლიანად სასამართლოს უფლებამოსილებას მიაკუთვნა ეს საკითხები.

ალიმენტის გადახდევენება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავე დროს, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როგორია ალიმენტის გადამხდელის რეალური ქონებრივი მდგომარეობა. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა, ის არაა დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. ამასთან, სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. თუმცა, ნიშანდობლივია გადაწყვეტილების აღსრულების რეალურობაც, კერძოდ, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისასა მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ ბავშვის საჭიროებები,

არამედ ის გარემოება, შესწევს თუ არა უნარი ანუ, გადახდისუნარიანია თუ არა მშობელი (ალიმენტვალდებული) დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდაზე.¹¹⁸

სხვა საქმეზე სასამართლომ აღნიშნა მოტივაციას ალიმენტის არა სიმბოლური ხასიათის თაობაზე და მხედველობაში მიიღო სახელმწიფოში არსებული საარსებო მინიმუმის ოდენობა. საქმის განმხილველი სასამართლოს განმარტებით, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ბავშვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და შესაბამისად, ამისათვის საჭირო ხარჯების ოდენობაც. შესაძლებლობის ფარგლებში, ბავშვს უნდა შეექმნას მაქსიმალურად საუკეთესო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ განვითარებას და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო აფასებს თითოეული მშობლის მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მშობლის მიერ მისთვის ბავშვის სარჩენად დახმარების აღმოჩენის საჭიროებასა და ობიექტურ შესაძლებლობას. ბავშვის მოთხოვნილებებსა და მშობლის შემოსავალს შორის დაცული უნდა იყოს სამართლიანი და გონივრული ბალანსი. ალიმენტის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან დადგინდეს არა მხოლოდ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა, არამედ - ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საჭიროებები.¹¹⁹

არასრულწლოვანის აღზრდა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა უპირველესად მშობლების ვალდებულებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება გულისხმობს არასრულწლოვანისათვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შესაბამეა მის საუკეთესო ინტერესებს. ალიმენტის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვების უფლება მიიღონ ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. არასრულწლოვანის აღზრდა-განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაში ორივე მშობელი თანაბრად უნდა იღებდეს მონაწილეობას. სასამართლოს მიაჩნია, რომ მშობლის საალიმენტო მოვალეობა უპირატესია სხვა ვალდებულებებთან შედარებით და შრომისუნარიანმა მშობელმა, თუნდაც მას არ უდასტურდებოდეს ყოველთვიური ფიქსირებული შემოსავალი, უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანი შვილი რჩენა-აღზრდისათვის მინიმალური თანხით მაინც. ამასთან,

¹¹⁸ სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის Nას-829-2019 განჩინება.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

¹¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 06 მარტის N2/18519-19 გადაწყვეტილება <https://ecd.court.ge/Decision> [11.07.2021]

მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა არ ამცირებს არასრულწლოვანთა მოთხოვნის ნებისმიერ საკითხის გადაწყვეტისას, ამოსავალი წერტილი არის ბავშვთა საუკეთესო ინტერესები. თუმცა ალიმენტის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ არც ალიმენტვალდებული პირი აღმოჩნდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უმუშევრობა თავისთავად არ გულისხმობს შემოსავლის არარსებობას ან სახსრების უქონლობას, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან (არარეგულარული სამუშაოდან) შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.¹²⁰

სასამართლო მიიჩნევს, რომ საარსებო მინიმუმის კომპონენტების გათვალისწინებით, რაც აუცილებელი მინიმალური ნორმატივია ადამიანის არსებობისთვის, ბავშვის რჩენის თანხაც მასვე უნდა შეესაბამებოდეს. მინიმალური ზღვრის ზემოთ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა კი პირდაპირ კავშირშია მშობლის შემოსავლის ოდენობასთან.

სხვა საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობის შემცირებას ან პირიქით, მის გაზრდას, ხოლო ამის საფუძვლად განიხილავს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლას. მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რას გულისხმობს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულში იგულისხმება ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობა, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენენ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე, მაგალითად, შემოსავლების შემცირება, კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება და სხვა. შემოსავლების შემცირებისა და კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია, ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა შემცირდეს, ხოლო კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია, ალიმენტი გაიზარდოს.¹²¹

¹²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 იანვრის №2/31992-18 გადაწყვეტილება. <https://info.court.ge/Decision#!> [11.07.2021]

¹²¹ სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის Nას-303-290-2015 განჩინება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021].

შესაძლებელია ალიმენტის გადახდისაგან პირის გათავისუფლება სასამართლო წესით. სასამართლო წესით შესაძლებელია შეიცვალოს ალიმენტის ოდენობაც, თუმცა სსკ არ ადგენს ალიმენტის ოდენობის შეცვლის საფუძველს და შემოიფარგლება ზოგადი მითითებით ალიმენტვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გარემოების შესახებ. ამ კუთხით საინტერესოა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა, რომ ისეთი ვალდებულება როგორცაა სესხის დაფარვა, როგორც დროებითი მოვლენა, არ წარმოადგენს საალიმენტო ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლების საფუძველს.¹²²

4.2. მშობლებისა და შვილების საალიმენტო უფლება-მოვალეობები

ისევე, როგორც სხვა უფლება-მოვალეობების შემთხვევაში, მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ვალდებულებებს მშობლებისაგან შვილების წარმოშობა ან შვილად აყვანა უდევს საფუძვლად.

პირველ რიგში, მშობლებს, როგორც დედას, ისე მამას აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. ისინი მოვალენი არიან არჩინონ მხოლოდ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილების რჩენის მოვალეობა მათ არ გააჩნიათ.

ურთიერთობის ორმხრივი ხასიათიდან გამომდინარე, მშობლებთან ერთად შვილებიც არიან მოვალენი იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. თუმცა, მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას.

მშობლების საალიმენტო ვალდებულება არასრულწლოვანი შვილების მიმართ წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, საჭიროებენ თუ არა შვილები ალიმენტის მიღებას.

¹²² სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის Nას-49-49-2018 განჩინება. [05.06.2021]

ისინი ვალდებულნი არიან, არჩინონ შვილები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ამისთვის საკმარისი სახსრები. საალიმენტო გადახდევინების ვალდებულება ეხება, როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან მშობლებს. მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, არიან თუ არა ისინი შრომისუნარიანები და აქვთ თუ არა მათ სამოქალაქო ქმედუნარიანობა. ბავშვისა და მშობლის ურთიერთობა წარმოშობს რჩენის ურთიერთვალდებულებებს.¹²³

მშობლების უფლებაა, მოსთხოვონ ალიმენტის გადახდა ერთ შვილს ან რამდენიმეს და იმავდროულად არ მიმართონ დანარჩენ შვილებს დახმარებისთვის. მათ შეიძლება არ სურდეთ რომელიმე შვილისგან ალიმენტის მიღება პირადული მიზეზების ან იმის გამო, რომ ეს შვილები იმყოფებიან „გაჭირებულ“ მდგომარეობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, თუ მშობლებმა სარჩელი მხოლოდ რამდენიმე შვილს წარუდგინეს, მაშინ მხოლოდ მათ უნდა დააწვეთ მშობლების რჩენის ტვირთი, ამიტომ, ალიმენტის განსაზღვრისას სასამართლო გაითვალისწინებს თანხებს, რომლებიც შეიძლება ალიმენტის გადახდევინების შემთხვევაში მშობლებმა ყველა სრულწლოვანი შვილისაგან მიიღონ.¹²⁴

მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის პროცესში აღმოჩნდა, რომ ამ კუთხით, სასამართლო დავის საგანს, როგორც წესი, სარჩელს სასამართლოში წარადგენს არასრულწლოვანის ის განქორწინებული მშობელი, რომელთანაც ბავშვი დარჩა საცხოვრებლად, ხოლო დავის უშუალო საგანს წარმოადგენს ალიმენტის გადახდის ვალდებულების დაკისრება და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა, რაც უნდა გადახდეს სარჩენი ბავშვის მეორე მშობელს. რაც შეეხება, მშობლების რჩენის მოვალეობას, როგორც წესი, შვილები თავად, ნებაყოფლობით ეხმარებიან და ზრუნავენ შრომისუნარო მშობლებს.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ შვილების საალიმენტო მოვალეობების მარეგულირებელი ნორმები ადგენენ შვილების

¹²³ ჯაფარიძე ქ., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015.

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf [11.07.2021]

¹²⁴ ჯაფარიძე ქ., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015. 177.

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf [11.07.2021]

მატერიალური პასუხისმგებლობის ელემენტებს მშობლების მიმართ და საოჯახო სამართლით დადგენილი ამ ვალდებულების წინაპირობების სწორად და ზუსტად განსაზღვრისას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არა ნორმათა სიტყვასიტყვითი, არამედ – ისტორიული განმარტების მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული. პალატა მიიჩნევს, რომ კერძო სამართლის ნორმები, განსაკუთრებით კი, საოჯახო სამართლის დანაწესები საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური სტანდარტების შესაბამისად უნდა განიმარტოს და სადავო ურთიერთობის კანონის ჩარჩოებში მოქცევისას მხედველობიდან არ უნდა იქნას გამორჩენილი ის მორალური კატეგორია, რომელიც საკანონმდებლო მონესრიგებას დაელო საფუძვლად. საქართველოში დამკვიდრებული ქცევის წესია სრულწლოვანი შვილის მიერ დახმარების საჭიროების მქონე მშობლისათვის როგორც ფიზიკური, ისე – მატერიალური დახმარების განწესის აუცილებლობა, სწორედ ამაზე მეტყველებს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი ნაწილი რაც შეეხება ალიმენტის დაკისრებას, ამავე ნორმის მე-2 ნაწილი სწორედ ზემოხსენებული სტადარტის ფარგლებშია განსამარტი, რაც გულისხმობს შემდეგი წინაპირობების არსებობას: მარჩენალსა და სარჩენს შორის საოჯახო სამართლით განსაზღვრული მშობლისა და შვილის ურთიერთობას; შვილი/მარჩენალი უნდა იყოს სრულწლოვანი და პრომისუნარიანი; სარჩენი უნდა საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას და ამავდროულად უნდა იყოს პრომისუნარო. ამ უკანასკნელ წინაპირობასთან მიმართებით, კანონის სწორი გაგებისათვის არა მისი სიტყვასიტყვითი აზრი, არამედ, კონკრეტულ შემთხვევაში, მისი მიზანი და რეგულირების სფერო უნდა შეფასდეს. საკითხი ეხება სრულწლოვანი შვილის ვალდებულებას, გაუწიოს დახმარება მშობელს, რომელიც ამას საჭიროებს და პრომისუნაროა, რაც არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალური და სხვა მაჩვენებლებიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ხანდაზმულია, ჩერნობილელია, აქვს გადატანილი არაერთი დაავადება და აქვს ჯანმრთელობის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს, დასაქმების ბაზარს, მით უფრო ხანდაზმული პირების შეუძლებლობას, გარდა სახელმწიფო გასაცემელისა იქონიონ სხვა შემოსავალი, ასევე იმას, რომ ამ საქმეში ალიმენტის მიღების უფლების მქონე პირს რაიმე შემოსავალი, გარდა პენსიისა არ უდასტურდება და მიიჩნევს, რომ ნორმის წინაპირობები პრეზუმირებულია, ამ პრეზუმციის გაქარწყლება კი, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენს.¹²⁵

¹²⁵ სუსგ სამოქალაქო საქმეთ პალატის 2020 წლის 24 ივლისის Nას-1445-2019 გადაწყვეტილება,

4.3. მშობლებისა და შვილების ურთიერთობები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით

გარდა სარჩოს მიცემისა, ალიმენტვალდებულ პირს შესაძლოა ასევე დაეკისროს ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ დამატებით ხარჯებში მონაწილეობა, რაც გამონვეული უნდა იყოს ისეთი განსაკუთრებული გარემოებებით, როგორცაა სარჩენის ავადმყოფობა, დასახიჩრება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან სხვა ობიექტური გარემოებები, რაც ასევე საქმის განმხილველი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს.

ისევე, როგორც ალიმენტის შემთხვევაში, ალიმენტვალდებული პირის დამატებით ხარჯებში მონაწილეობაც შესაძლოა გამომდინარეობდეს, როგორც მხარეთა შეთანხმებიდან, ისე ეფუძნებოდეს სასამართლო გადაწყვეტილებას და იყოს როგორც ერთჯერადი, ისე ხანგრძლივი სახის.

საალიმენტო სახსრები შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ დამატებითი ხარჯების განსახორციელებლად, რაც გამონვეულია განსაკუთრებული გარემოებებით. ეს არის განსაკუთრებული გარემოებების გამო დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და არა ბავშვის სარჩენი ხარჯების დამატებითი გადახდევინება. ამიტომ მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების (ან მომავალში აუცილებლად გასაღები ხარჯების) გათვალისწინებით, მყარი თანხებით, და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან. დამატებით ხარჯებში მოპასუხე მშობელი მონაწილეობს ერთჯერადი გადასახდელის სახით ან განსაზღვრული დროით განსაზღვრული თანხების გადახდით.¹²⁶

საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთი საქმეზე, მშობლებისა და შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლომ გონივრულად მიიჩნია ალიმენტის დაკისრება მონინალმდევე მხარისათვის 30 ლარის ოდენობით; აღნიშნა, რომ სკ-ს 1215-ე მუხლის შესაბამისად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამონვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა). პალატამ ჩათვალა, რომ

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

¹²⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის №ს-180-07-09 განჩინება

<http://prg.supremecourt.ge/default.aspx> [06.06.2021]

სკოლის სახელმძღვანელოების გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია ბავშვის ნორმალური აღზრდა — განვითარება. ხარჯების დაკისრება ამ მიზნით, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მკურნალობის ხარჯების დაკისრება, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. სასამართლოს მითითებით, კოდექსის აღნიშნული ნორმა არ შეიცავს იმ შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს, როცა მშობელს ეკისრება დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოვალეობა და იძლევა შესაძლებლობას, სასამართლომ დავის ხასიათის მიხედვით ინდივიდუალურად განსაზღვროს დამატებითი ხარჯების დაკისრების საკითხი.¹²⁷

დასკვნა

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები თანამედროვე ქართული საზოგადოებისა და საოჯახო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია.

კანონმდებლის მიერ ამ სფეროში მოქმედი ნორმები შეიცავენ ხარვეზებს, რამდენადაც ატარებენ ძალზედ ზოგად სახიათს და იძლევა მანიპულირების საშუალებას. საჭირო ხდება მოქმედ ნორმათა განმარტება და მათი შინაარსის სწორად დადგენა. კანონმდებელმა ამ სიცარიელის შევსება მიანდო სასამართლოებს, რომელთა მიდგომებიც დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება.

ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი, სწორედ, დღევანდელი სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გახლდათ, რისთვისაც კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულ იქნა ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ვფიქრობთ, ამ ურთერთობათა კუთხით, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა ძირეული ცვლილებების განხორციელება საკანონმდებლო სივრცეში - იგივე სუროგაცია, რაც უმნიშვნელოდაა მონესრიგებული კანონმდებლობით და საჭიროებს ძირეულ დარეგულირებას, ხოლო შვილად აყვანასთან დაკავშირებული რთული პროცედურები უნდა გამარტივდეს და წარმართოს ნაკლები ბიუროკრატიულობით.

¹²⁷ სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 10 ივლისის N3კ-647-03 განჩინება.[06.06.2021]

ნაშრომში გაანალიზებულია საკანონმდებლო სიახლეებით დარეგულირებული მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები, აგრეთვე ამ კუთხით დადგენილი ოჯახისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობები.

აღსანიშნავია, რომ დასარეგულირებელია სახელმწიფოს ჩარევის ხასიათი და შემთხვევები მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში. ზოგჯერ ხდება ისე, რომ სახელმწიფოს ჩარევა არაპროპორციულია. ახლახანს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა რეგულაციური და უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ „სიღარიბის გამო მინდობით აღზრდაში ბავშვების გადაყვანა და ოჯახთან დაცილება უკანონოდ ცნო და დაზარალებულ სამ ბავშვს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 35 000 ლარი მიაკუთვნა, რისი გადახდაც სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დააკისრა, რამდენადაც, ბავშვები სოციალურმა სამსახურმა უკანონოდ, ოჯახის გაძლიერების გარეშე, გამოიყვანა სახლიდან და დედას დააცილა. ბავშვები ორი წელი მშობლებისგან მოშორებით გამონვეული სტრესის ქვეშ ცხოვრობდნენ. ეს გარემოება სასამართლომ მიიჩნია უკანონოდ.¹²⁸

სასურველია ამ და სხვა კუთხით გაგრძელდეს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის. არსებული პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით კი გათვალისწინებული იქნას, სამაგისტრო ნაშრომში შემოთავაზებული მოსაზრებები და წინადადებები.

¹²⁸ სტატია „დედასთან დაშორების გამო 3 ბავშვს სახელმწიფო 35 ათას ლარს გადაუხდის“, ავტორი - ლელა დუმაძე, 15.06.2021 „<https://batumelebi.netgazeti.ge/news/350156/> [11.07.2021]

გამოყენებული ლიტერატურა

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.08.1995.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [10.07.2021]
2. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.07.1997.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> [10.07.2021]
3. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.09.2019.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2> [10.07.2021]
4. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1994 წლის 02 ივლისს),
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [10.07.2021]
5. საქართველოს კანონი შებენიანი უფლებების მქონე პირთა უფლებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.07.2020,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1> [11.07.2021]
6. საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20.12.2011,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541247?publication=25#part_22 [10.07.2021]
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება N 18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1572063?publication=0> [10.07.2021]
8. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.12.1997,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46> [10.07.2021]
9. ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (მიღებულია 15.10.1975, ძალაში შევიდა 31.07.2002),
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210378?publication=0> [10.07.2021]

10. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაცია, (მიღებულია 1984 წლის 28 თებერვალს)https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016804de2e4 [10.07.2021]
11. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.05.2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080?publication=6> [11.07.2021].

წიგნები და მონოგრაფიები

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000. [10.07.2021]
13. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, ე. კოლუასა და სხვათა რედაქტორობით, გამომცემელი ლ. ბერაია, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2004. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=390 [10.07.2021]
14. შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017. [10.07.2021]
15. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) მეორე გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, 13-14. <https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e183a1e18390e1839de183afe18390e183aee1839d-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390e1839ae18398-e183a0e1839de1839be18390e1839c.pdf>. [10.07.2021]
16. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, მეოთხე გადამუშავებული გამოცემა ცვლილებებითა და დამატებებით, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004. [10.07.2021]
17. ჭილაშვილი ლ., ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით, დისერტაცია, თბილისი, 2016. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/188893/1/Disertacia.pdf> [10.07.2021]
18. ხოფერია მ., ოჯახის გაყრის წესები ძველი ქართული სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mariam_xoferia.pdf [10.07.2021]
19. ნევენა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იააპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში

- ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, რ. ტუშურისა და თ. ალექსიძის თარგმანი, ლ. ალექსიძისა და ე. ხუციშვილის რედაქტორობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015. [10.07.2021]
20. ნინუა ე.საოჯახო სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(42), 2014. [http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf) [10.07.2021]
21. გლაზოვი გ., საოჯახო სუროგაციის შედარებითი მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(65), 2020, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf> [10.07.2021]
22. ახალაძე ნ., სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2019. <https://openscience.ge/bitstream/1/1114/1/samagistro%20akhaladze.pdf> [10.07.2021]
23. გელაშვილი ი., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012.
24. ჯათარაძე ე., მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/qetevan_jafaridze.pdf [11.07.2021]
25. ბობოხიძე მ., ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020. <https://ug.edu.ge/storage/disertations/December2020/ckH2e40nifT26O4K5dn5.pdf> [11.07.2021]

სასამართლო გადაწყვეტილებები

26. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Marckx v. Belgium, პარ 45. <https://hudoc.echr.coe.int/rus#%22itemid%22:%22001-57534%22> [10.07.2021]

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის №ა-4246-შ-126-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე HAASE v. GERMANY, პარ. 85, <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-61704> [10.07.2021]
29. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 10 ივლისის N3კ-647-03 განჩინება.[06.06.2021]
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის №ას-1162-2020 გადაწყვეტილება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
31. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის Nას-180-07-09 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/default.aspx> [06.06.2021]
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის №ას-211-204-2012 გადაწყვეტილება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-49-49-2018. [10.07.2021]
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის № ას-857-2019 განჩინება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის N ას-902-1149-04 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 07 მაისის Nას-41-40-2010 გადაწყვეტილება.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 05 ივნისის №ას-1232-2019 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 06 ივნისის Nას-245-233-2017 გადაწყვეტილება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ას-63-59-2017. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის №ას-857-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის Nას-944-2018 განჩინება.
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განმარტება საქმეზე Nას-904-944-2011. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021].
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 ივნისის Nა-2590-შ-66-2021 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
44. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N28/1285-19 განჩინება <https://ecd.court.ge/Decision#!> [11.07.2021].
45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის Nას-604-563-2017 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [10.07.2021]
46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება GODELLI v. ITALY
<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22godelli%22%2C%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22itemid%22:%5B%22001-113460%22%5D%7D> [11.07.2021]
47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება ზაიეტი რუმინეთის წინააღმდეგ,
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf>
[11.07.2021]
48. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 იანვრის N2/31992-18 გადაწყვეტილება. <https://info.court.ge/Decision#!> [11.07.2021]
49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 02 აპრილის Nას-53-48-2015 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
50. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> [11.07.2021]
51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის Nას-857-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის Nა-4246-შ-126-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021].
53. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება N3კ/480-01. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ივნისის Nას-578-2019 გადაწყვეტილება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 მაისის Nას-198-2019 გადაწყვეტილება. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx> [11.07.2021]
56. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის Nას-967-916-2015. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx> [11.07.2021]
57. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის Nას-604-563-2017 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
58. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> [11.07.2021]
59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 ოქტომბრის Nა-4246-შ-126-2019 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
60. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის Nას-303-290-2015 განჩინება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021].
61. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის Nას-49-49-2018 განჩინება. [05.06.2021]
62. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის Nას-829-2019 განჩინება. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]
63. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 06 მარტის N2/18519-19 გადაწყვეტილება <https://ecd.court.ge/Decision> [11.07.2021]
64. სუსგ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის Nას-1445-2019 გადაწყვეტილება, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [11.07.2021]

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Strasser M. Traditional surrogacy contracts, partial enforcement, and the challenge for family law, Journal of Health Care Law and Policy, volume 18, issue, article 4, p. 89. <https://core.ac.uk/download/pdf/56359762.pdf> [10.07.2021]
2. Hartis a. n. The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, SSRN Electronic Journal, September 2010, 2. <http://users.uoa.gr/~ahatzis/Surrogacy.pdf> [10.07.2021]

ინტერნეტ რესურსები

3. Do Surrogate Mothers pass on DNA? სტატია, 18.05.2018.
<https://www.conceiveabilities.com/about/blog/do-surrogate-mothers-pass-on-dna>
[10.07.2021]